სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათობით, 5 აგვისტო 1997 №90 (455) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერსის სასამართლოში ქინქლაძე დაკითხეს!

1997 წლის 25 თებერვალს ბრიტანეთის კუთვნილ კუნძულ ჯერსის მცხოვრებმა მავანმა 22 წლის ქალბატონმა ადგილობრივ სასამართლოში იჩივლა — დღეს, დილის ოთხ საათზე, „მანჩესტერ სიტის“ ერთმა ფეხბურთელმა სახეში შემაფურთხაო. ცხადია, საქმე აღიძრა და სასამართლოც დაიწყო.



დავით მჭედლიშვილი
კუნძულ ჯერსიდან

იქ გიოც ყოფილა

ზემოთ ნახსენები საქმე, სხვა შემთხვევაში, ჩვენი რუბრიკის „საფეხბურთო რუკასთან“ ღირსი თუ იქნებოდა, მაგრამ ყველაფერი გასული კვირის დამდეგს შეიცვალა: „მანჩესტერ სიტიდან“ ფრენის ლის მდივანმა დამირეკა და მთხოვა — პარასკევს ჯერსის სასამართლომ გიო ქინქლაძე უნდა დაკითხოს და თუ გცალიათ, ეგებ თარჯიმნად დაუდგეთო. დიდად შევფიქრიანდი, ნეტავ რამე ფარსაკი ხომ არ შეემთხვა გიოსმეთქი და სასწრაფოდ დავურეკე. საქმეში გარკვევისთანავე კი სამგზაუროდ გავემზადე: ეჭვმიტანილი პიტერ ბიგრი გამოდგა.

პარასკევი, დილა

მეხუთე წელია, ლონდონში და საერთოდ ინგლისში უპატრონო ძაღლი არ მინახავს. ყოფილა, ბატონო! სამწუხაროდ, სადღაც მეტროს ლიანდაგებზეც დარბოდა პარასკევ დილით და სანამ მეტროს მუშაკების ბარე ნახევარი დასაჭერად დასდევდა, მეტროს ის ხაზი, აეროპორტ „ჰითროუში“ რომ მიდის, მთლიანად გაჩერდა. ცხრის ნახევარამდე, ჩემი თვითმფრინავი რომ უნდა გაფრენილიყო, საათიღა რჩებოდა, როცა მოთმინება დავკარგე და მეტრო ტაქსზე გადავცვალე. „ჰითროუში“ კი დამხვდა „მანჩესტერ სიტის“ შეკვეთილი ბილეთები, მაგრამ საბაჟოზე უსაფრთხოების მუშაკმა სამოგზაურო მაღვიძარა აღმომიჩინა და... ბერკამპისა არ იყოს, ფრენა, მეტი რომ არ ვთქვა, გულზე არც მე მეხატება. თან, აფრენისთანავე ბორტგამცილებელი 15 წუთი იმას ვეიხსნიდა, ზღვაში შესაძლო ჩავარდნისას როგორ მოვქცეულიყავით. გადავრჩით და მშვიდობიანად ვესტუმრეთ კუნძულ ჯერსის. მის აღწერას ნამდვილად ვერ ვეკისრებ. ამას მწერალი სჭირდება, მე კი მოკლედ ვიტყვი — ზღაპარია!

პარასკევის სინამდვილეს დავუბრუნდეთ. ჯერსის აეროპორტიდან სასამართლომდე ტაქსით წავედი და მძღოლისგან შევიტყვე, რომ პროცესს, აქამდე ადგილობრივ გაზეთებში ალაგ-ალაგ რომ მოიხსენიებოდა, დღეს პირველი გვერდების დიდი ნაწილი დაეკავებინა, რადგან ჩვენება თვით ქინქლაძეს უნდა მიეცა. სასამართლოს წინ მყოფ ფოტორეპორტიორთა დიდი რაზმი ჩვენებურზე უფრო იყო დაგეშილი, ვიდრე თვით ეჭვმიტანილზე. რომლის ადვოკატმა, მშვენიერმა ქალბატონმა სარა ფიცმა იმ დღეს ჩვენების მისაცემად გიოსთან ერთად კიტ საიმონსი, პოლ ბრაითველი და მეკარე შარგეტსონი გამოიძახა. ყოფილი თანაკლუბელის (პიტერ ბიგრი სულ ახლახან „ბრედფორდში“ გაყიდეს) საქმის გამო ისინი ადრეც შეუწუხებიათ და ჩვენებები ჩამოურთმევიათ.

ქინქლაძეს პირველი ჩვენება 20 მარტს ჩამოართვეს, მარცხნივ სწორედ ამ ჩვენების თაეფურცელს ხედავთ

იხილეთ მეხუთე გვერდი

REUTERS ახლიდან

მსოფლიოში ყველაზე სწრაფი ქალ-ვაჟი ამერიკელებს ჰყოლიათ: მერიონ ჯონსი და მორის გრინი მსოფლიოს ჩემპიონებში გახდნენ ასმეტრიან სპრინტში

აჰ ათ ნამშია ყველაფერი!

ქართველები მრთხელ გავიქცევით და...



ილია გაგუნაშვილი ათენიდან

მონსერატ კაბალიეს ცოცხლად მოსმენა ისეთი რამ ყოფილა, ათენში კი არა, დედამიწის ნებისმიერ კუთხეში წასვლაც ღირს. პერუს გარდა.

„პანათინაიკონის“ სტადიონი სულაც არაა ის სარბიელი, სადაც საფეხბურთო გუნდი „პანათინაიკოსი“ თამაშობს.

ქართველები კი ერთხელ გავიქცევით 100 მეტრს და მორჩა.

ათენში მეტისმეტად ცხელა. ასეთ ხვატში სირბილი, ხტომა, ბირთვ-ბადროს კერა-ტყორცნა, მითუმეტეს კი მსოფლიო რეკორდის დამყარება ძალიან ძნელია. ძნელია ჟურნალისტობაც, რადგან შზე ტვინს გიხვრეტს, შენ კი ფეხს ვერ იცვლი. ცოცხლად გინდა ყველაფრის ნახვა. ცხადია, შეგიძლია „ოლიმპიური“ სტადიონიდან ასიოდე მეტრში, პრეს-ცენტრს შეაფარო თავი, ტელევიზორსაც ჩაგირთავენ, შედეგებსაც ციმციმ მოგართმევენ და არც უფასო, ცივი კოკა-კოლა მოგაკლდება, მაგრამ გული არ გიშვებს. ეს მერლინ ოტიო, ის დონოვან ბეილიო... და რაც მთავარია, შენი ქვეყნის სპორტსმენებს ქომაგობ. ქომაგობასაც რომ თავი დავანებოთ, მათი გამოსვლის ნახვა და აღწერა შენი უშუალო მოვალეობაა.

ვსხედვართ ასე, თაკარა მზეში მე და ჩემი ბელარუსი კოლეგა. მე მათი გუნდის ამბებს ვეკითხები, ის საქართველოსას მეკითხება. რომ გაიგო, სულ ორი სპორტსმენი გამოგვყავს და თან ორივე ალპათ, პირველსავე გარბენში გამოეთიშება ასპარეზობას — ბედნიერი კაცი ყოფილხარ, ამათ მალე მოითავებ და მერე გაილაღებ, სხვებს გინდ დაესწრები, გინდ არაო. იხუმრა, ცხადია, მაგრამ ერთი გამოთქმისა არ იყოს, ყველა ხუმრობაში ცოტა სიმართლეცაა. სამწუხაროდ, ქართველი მორბენლების ამბავთა აღწერისგან 22,64 წამში გავთავისუფლდი.

თავიდან თამარ შანიძე მოუწია გამოსვლა. მასთან ერთად გაიქცნენ: ნატალია ვორონოვა (რუსეთი), კრისტინ არონი (საფრანგეთი), ლი ხიაოეი (ჩინეთი), ჰითერ სამუელი (ანტიგუა), ირინა პუხი (უკრაინა) და ანტონია კადორე (ვენესუელა). შანიძე 11,97 წამით ბოლოსწინა ადგილზე გავიდა. მან მხოლოდ უბედნიერეს კადორეს გაასწრო, რომელმაც 12 წამით... თავისი ქვეყნის რეკორდი დაამყარა. შემდეგ ეტაპზე კი ფრანგი, რუსი და ჩინელი გავიდნენ. ფრანგის შედეგი იყო 11,13 წამი, რუსისა 11,31, ხოლო ჩინელის 11,35. თამარის საუკეთესო შედეგი იყო და რჩება 11,59. რატომ ვერ გაიმეორა? ვეუბნებ, ჯერ ერთი, ღილა რომ იყო, იმიტომ, ღილაობით ხომ ყველა უარესად ასპარეზობს ვიდრე საღამოს, მეორეც, ცხელოდა, მესამეც, მსოფლიოს ჩემპიონატია. მოკლედ, მოულოდნელი არაფერი მომხდარა.

ალბათ პირველი რაუნდის დანარჩენი 7 გარბენის ჩამოწიკწიკებას აქ აზრი არ აქვს. ამიტომ რუსლან რუსიძეზე გადავიდეთ. რუსლანი დონოვან ბეილის გვერდით მოხვდა. ის მეოთხე ბილიკზე გაიქცა, კანადელი — მეხუთეზე. მათ გარდა იყვნენ მარტინ ლახკოვიჩი (ავსტრია), რენდუარდ ველსი (ბაჰამა), ელსტონ შოუ (ბელიზი), მარლონ დევონიში (ბრიტანეთი), სტეფანო ტილი (იტალია) და აგელოს პაველაკაკისი (საბერძნეთი). ქართველი ვაჟიც ბოლოსწინა დარჩა — 10,64 წამი. მან ბელიზელ შოუს გაასწრო, რომლის შედეგიც 11,13 იყო. ამ გარბენის გამარჯვებული კი გაბლდათ არა ბეილი, არამედ პაველაკაკისი, რომელმაც ოფლში გაწურული, თითებზე ჩამოსათვლელი მაყურებლის გასახარად 10,11 წამით საბერძნეთის რეკორდი დაამყარა. ბეილი (10,17) მეორე იყო, მესამე — ტილი (10,25), საკუთარი რეკორდის ავტორი.

არც რუსიძის შედეგი გახლდათ მოულოდნელი. სასტარტო განაცხადში მისი გვარის გასწვრივ ეწერა: საუკეთესო მაჩვენებელი — 10,3.

და მაინც, კაბალე პერუში არ უნდა ამღერო. გაგონილა? მსოფლიოს მძლეოსნობის თავკაცს, იტალიელ მილიონერს, დოქტორ პრიმო ნებიოლოს უწვალია, მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნაზე ამხელა მომღერალი დაუპატიჟა, ცერემონიალს კულმინაციად დაუსახავს, ესენი კი...

რაც იყო, იყო. ჩვენ ასმეტრიან ბილიკს გავყვეთ. პირველ დღეს, საღამოს მოვლენები უქართველებოდ ასე განვითარდა: ვაჟთა ექსი გარბენიდან ხუთში თავიდან ფალშ-სტარტი გამოვიდა. მზოლოდ პირველი რეა გაიქცა „ერთი გასროლით“. ეს მართლაც საუკეთესო გარბენი გამოდგა, რადგან, ჯერ ერთი, ტრინიდადელმა ატო ბოლდონმა და ამერიკელმა მორის გრინმა ფინიშის ხაზი ლამის ერთად გადაკვეთეს და მათ შორის უმჯობესის გამოვლენას ფოტო-ფინიში დასჭირდა. გაირკვა, რომ ბოლდონს დისტანცია 9,87 წამში გაურბენია. თავისი ღილის შედეგი 1,3 წამით გაუუმჯობესებია და, რაც მთავარია, დაუმყარებია მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდი.

— ჩემი ოცნებაა 9,80-ზე ნაკლებ დროში მივიდე ფინიშამდე, მაგრამ არც 9,80 ან 9,81-ზე ვიტყოდი უარს. სირთულე ისაა, რომ ბილიკებზე რვა სხვადასხვა ხასიათის ადამიანი დგას. სტარტამდე ათი წამი რომ რჩება, მეტოქეებისკენ აღარ ვიხედები. რომ გავიხედო, ჩემი კარიერა დამთავრდება — თქვა შემდეგ ბოლდონმა.

ბერძენთა ფავორიტმა პაველაკაკისმა მეორე გარბენში მეორე ადგილი დაიკავა და კანადელ ბრუნოსთან ერთად გაიდგა ნახევარფინალში. დონოვან ბეილი კვლავ მეორე იყო (10,10). მან ამერიკელი ტომ მონტგომერი „გაატარა“ წინ.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

საქართველოს სუპერთასი დინამო 4:1 ბათუმი

რეპორტაჟი ჭუთაისიდან იხილეთ მეორე გვერდზე

ცუდად

მძლეოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. 400 მ რბენა: 1. კეტი ფრიმენი (ავსტრალია) 49,77; 2. სანდი რიჩარდსი (იამაიკა) 49,79; 3. ჯერლი მაილს-კლარკი (აშშ) 49,90.

სამხტომი: 1. სარკა კასპარკოვა (ჩეხეთი) 15,20; 2. როდიკა მატეესკუ (რუმინეთი) 15,16; 3. ელენა გოვოროვა (უკრაინა) 14,67.

შვიდჭიდი: საბინე ბრაუნი (გერმანია), დენიზ ლიუისი (დიდი ბრიტანეთი), რემიგიუს ნაზაროვიენე (ლიტვა).

ვაჟები. 400 მეტრზე თარჯრბენი: 1. სტეფან დიაგანა (საფრანგეთი) 47,70; 2. ლეველინ ჰერბერტი (სამხრეთ აფრიკა) 47,86; 3. ბრაიან ბრონსონი (აშშ) 47,88.

სამი დღის ჯამში მეძლები ასე განაწილდა: აშშ — 2 ოქრო, 1 ვერცხლი, 3 ბრინჯაო; გერმანია — 2, 0, 1; უკრაინა — 1, 2, 1; ავსტრალია — 1, 0, 0; ჩეხეთი — 1, 0, 0; საფრანგეთი — 1, 0, 0; მექსიკა — 1, 0, 0; რუსეთი — 0, 1, 1; კანადა — 0, 1, 0; დიდი ბრიტანეთი — 0, 1, 0; იამაიკა — 0, 1, 0; რუმინეთი — 0, 1, 0; სამხრეთ აფრიკა 0, 1, 0; ბაჰამის კუნძულები — 0, 0, 1; ბელარუსი — 0, 0, 1; ლიტვა — 0, 0, 1.

ფეხბურთი. საფრანგეთის „ნიცას“ ლიბერიელი ფორვარდი ჯეიმს დებაჰმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა ბელგიის „ანდერლეხტთან“. ბრიუსელის ამ კლუბთან დებაჰს რეკომენდაცია ენცო შიფომ გაუწია. იგი წლეულსვე გადავიდა „ანდერლეხტში“ საფრანგეთის „მონაკოდან“. ამ ტრანსფერის თანხა ოფიციალურად არ გამოცხადებულა, მაგრამ, როგორც „ნიცას“ წარმომადგენელმა განაცხადა, ბრიუსელის კლუბმა დაახლოებით 10 მილიონი ფრანკი ანუ 1,8 მილიონი დოლარი გადაიხადა.

ქუთაისი
„გვრი კოლაძე"
4 აგვისტო

დინამო 4:1 ბათუმი

დინამო: ზოიძე, კალაძე, ჯელაძე (გურგა 46), დიდავა, ლობჟანიძე, გოგიჩაიშვილი (გივი კვარაცხელია 87), კიკნაძე, ცქიტიშვილი (გოგობერიშვილი 46), ჩხაიძე (დავითიძე 88), დ. მუკირი (ხომერიკი 58), იაშვილი (ალექსიძე 64)

ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე (ფუტკარაძე 40), მინდაძე, ქიქვაძეიშვილი, ასპინძელაშვილი, სიჭინავა, მაქაცარია (აფხაზავა 46), ღლონტი, სოლოლაშვილი, კანტიძე, ჩუხუა (ვულეკიშვილი 46)

ხე მუკირი (20), 2:0 გოგიჩაიშვილი (27 პ), 3:0 კალაძე (55), 3:1 აფხაზავა (76 პ), 4:1 ალექსიძე (85)

გაფრთხილებები: მუკირი, ჩუხუა, სოლოლაშვილი

გაძევება: სოლოლაშვილი

მსაჯი: ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან

გუშინდელმა მეტოქეებმა კარგა ხანია შეგეჩვიეს თავი საქართველოს თასის ფინალებში. ახლა ამას გაზეთ „რეზონანსის" სუპერთასისთვის თამაშებიც დაემატა. უკვე ძნელად წარმოსადგენიც კია, ჩვენი ფეხბურთის პრესტიჟულ

დინამოს სუპერთასი! ბათუმს ჩაეთვალა?

პრიზებს რომელიმე სხვა გუნდები თუ დაადგამენ თვალს.

დიახ, ისევ „დინამო" და „ბათუმი". ამჯერად სუპერთასზე და არა თბილისსა ან ბათუმში, არამედ ქუთაისში. სწორედ ასე გადაწყვიტეს მატჩის ორგანიზატორმა ჩვენმა კოლეგებმა, ბოლო სამ კვირის განმავლობაში დიდი გულმოდგინებით რომ უწევდნენ რეკლამას საკუთარ პირმშოს. „რეზონანსმა" ამგვარი თამაშის მოწყობის გამოცდილება შარშან შეიძინა. მაშინ დინამოელებმა „ბათუმი" მისსავე მოედანზე გაანადგურეს (4:0) და სუპერთასს დედაქალაქში ღაუდეს ბინა.

რას მოველოდით გუშინდელი მატჩისგან? უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ „დინამოს" და „ბათუმს" სულ მალე შესაბამისად, ჩემპიონთა თასის მეორე შესარჩევ წრეში და ევროპის თასის წინასწარ ეტაპზე უწევდა გამოსვლა და კარგი თამაში ორივე მხრიდან ნაკლებად საყარაულო იყო, მაგრამ შეიძლება ისიც გვეფიქრა, რომ „ბათუმი" ბოლოს და ბოლოს, გატეხდა ნავსს და „დინამოს" ერთ ტიტულს მაინც აართმევდა. თბილისელები ამას წინათ საქმეში კი ჩანახეთ, მაგრამ ჩრდილოირლანდიური „კრუზეიდერსი" ის მეტოქე არ იყო, ჩვენებს თაეიანთი შესაძლებლობების სრულად გამოვლენა დასჭირებოდათ. ახლა „დინამოს" ლობჟანიძე, გოგობერიშვილი და გუჩუა დაემატნენ. ეს პატარა ძალა არაა.

„ბათუმის" შესახებ ამ ბოლო დრომდე მხოლოდ ის ვიცოდით, რომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გუნდიდან წასვლას აპირებს და გუნდის თავკაცობა მათ შემცვლელებს ეძებს. „ბათუმის" პრეზიდენტმა დავით კლდიაშვილმა დავიდასტურა, რომ გვარამაძე, მუკირი, ტუღუში, ტრაპაიძე და უკმაკურიძე ფაქტობრივად აღარ ირიცხებიან გუნდის შემადგენლობაში. ეს კი, რაღა თქმა უნდა, დიდი დანაკლისია მოუხედავად იმისა, რომ „ბათუმმა" მათ სანაცვლოდ რამდენიმე კარგი ფეხბურთელი დაიმატა, მათ შორის ასპინძელაშვილი, სოლოლაშვილი, ჩუხუა და აფხაზავა.

თუმცა, მოდით, თამაშს დავუბრუნდეთ. საათის მეოთხედი მეტოქეებმა ურთიერთდაზვერვას მოანდომეს, აუჩქარებლად თამაშობდნენ. ტრიბუნები (თამაშს დაახლოებით 6-7 ათასი გულშემატკივარი დაესწრო) მხოლოდ მე-19 წუთზე ახმაურდნენ, როდესაც ღლონტი სახიფათოდ შედიოდა თბილისელთა საჯარიმოში, მაგრამ ბურთისთვის ბრძოლა ზოიძემ მოიგო. ასე არ უნდაო და, ამ ეპიზოდს უმალვე დინამოელთა სწრაფი იერიში მოჰყვა: საჯარიმოს წინა ხაზთან მდგომმა გოგიჩაიშვილმა ოდნავ მარცხნივ დროულად და ზუსტად მიაწოდა მუკირს, რომელმაც მცველის მოტყუება მოასწრო და კარში დარტყმაც — ბურთი ტოგონიძისგან მარჯვენა დაბალ კუთხეში შევარდა. ამის შემდეგ უპირატესობა მთლიანად დინამოელთა მხარეს გადავიდა. ბათუმელთა დაცვას განსაკუთრებით მუკირისა და იაშვილის შეჩერება უჭირდა. სწორედ იაშვილის სახიფათო გარღვევას მოჰყვა ის, რომ ტოგონიძე იძულებული შეიქნა სარმის გამოყენებით შეეჩერებინა თავდამსხმელი. პენალტი კი გოგიჩაიშვილმა უნაკლოდ შეასრულა.

მეორე ტაიმი პირველზე გაცილებით უკეთესი საცქერი იყო. თავიდან ისევ თბილისელები უტევდნენ. 49-ე წუთზე დადავას გადაცემის შემდეგ მუკირი ეფექტურად ურტყამდა თაურს, მაგრამ მიზანს ააცილა. თუმცა მესამე ბურთიც სულ მალე გაიგდა: გოგიჩაშვილის კუთხურიდან მოწოდებული იაშვილმა გაიგრძელა, ბათუმელთა საჯარიმოს სიღრმეში ბურთს კალაძე დახვდა და ანგარიში გაზარდა. „ბათუმს" დასაკარგი არაფერი ჰქონდა და იერიშებზე გადასვლა სცადა. განსაკუთრებით შეცვლაზე გამოსული კულეჯიშვილი და აფხაზავა აქტიურობდნენ. 62-ე წუთზე ამ უკანასკნელის დარტყმული სასწაულებრივ ასცდა კარს. ათი წუთის შემდეგ ღლონტმა სცადა მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდება, მაგრამ დარტყმა ვერ მოზომა. ბათუმელებმა მაინც იმარჯვეს — კალაძემ წესის დარღვევით შეაჩერა საჯარიმოში შემჭრილი აფხაზავა და თვით დაზარალებულმა პენალტით გაქვითა ერთი ბურთი. და მაინც, თბილისელებმა ეს მატჩი დიდი ანგარიშით მოიგეს: გოგიჩაშვილის პასით ალექსიძემ აუღებელი დაარტყა ტოგონიძეს.

„დინამომ" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არავისთვის აპირებს მოპოვებული ტიტულების დათმობას, „ბათუმზე" კი იმის თქმა შეიძლება, რომ გუნდი სასურველი ფორმისგან ჯერ შორსაა და „არარატთან" მატჩამდე დიდი გარჯა და დაფიქრება მართებს. ყოველ შემთხვევაში, თუ გუნდმა გუშინდელზე უკეთ ვერ ითამაშა, თასების თასზე საკეთოს არაფერს უნდა ველოდოთ.

სუპერთასის მატჩში მრავალი პრიზი იყო დაწესებული. დინამოელმა ჩხაიძემ, როგორც შეხვედრის საუკეთესო მოთამაშემ, სახელმწიფო მინისტრის, ნიკო ლეკიშვილის ჯილდო 1000 ამერიკული დოლარი და სამახსოვრო საათი დაიმსახურა. პირველი გოლის ავტორი დავით მუკირი ფიჭური კავშირგაბმულობის ფირმა „ჯეოსელის" მობილური ტელეფონის მფლობელი გახდა. სპეციალური პრიზები გადაეცათ დიდავას და აფხაზავას. გამარჯვებულ „დინამოს" სუპერთასთან ერთად „რეზონანსის" ფულადი ჯილდო 3500 ლარიც ხვდა, დამრცხებულ „ბათუმს" კი 1500.

ბავშვთა კვება

Gerber

ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ჟილეტში თქვენი შვილებს გოლიათური ჯანმრთელობაა

ბადრი ჯიშკარიანის ფოტო

ნემსაძეს ვიზა მიიღო, ყაველაშვილი კი უკვე ვარჯიშობს

გუშინ, 4 აგვისტოს, შვეიცარიის საკონსულომ, როგორც იქნა, გია ნემსაძეს სამუშაო ვიზა გაუფორმა. დღეს კი იგი მოსკოვიდან ციურიხში გაფრინდება.

— როგორც ვიცი, ყაველაშვილი უკვე „გრასჰოპერში" ვარჯიშობს, — გვითხრა ნემსაძემ, — მიშას 3 აგვისტოს ველაპარაკე და მითხრა, მეორე გუნდთან საკონტროლო შეხვედრაც ჩავატარეო. მაგრამ ოფიციალურ, ჩემპიონატის მატჩში ჯერ არ მიუღია მონაწილეობა. მე 4 აგვისტოს შვეიცარიის „კალიებს". 6 აგვისტოს კი შვეიცარიის ნაკრები სტუმრად სლოვაკეთს ეთამაშება. სწორედ ამ დღეს „გრასჰოპერი" II დივიზიონის რომელიღაც გუნდს ხვდება საგანგებოდ ჩემი და ყაველას გუნდთან შესათამაშებლად. 9-ში კი მორიგი ტურის შეხვედრა ელის „ლუცერნთან" და იმედი მაქვს, ორივე ვითამაშებთ. თუმცა, დანამდვილებით მაინც ვერაფერს ვიტყვი.

— გია, ფედერაციის ბიერ ატეხილ აყიოტაჟზე რას იტყოდი?

— ჩვენზე ამბობენ, ნაკრებში თამაშს დაუდევრად ეკიდებიან და შედეგი ღირსად არ ანაღლებთო. ნაკრებში თამაში, გულშემატკივრისთვის სიხარულის მოტანა და ქვეყნის პრესტიჟის დაცვა რომ არ მსურდეს, ნაკრებს საერთოდ გავეკარებოდი? ფული თუ მაქვს, ისევ გუნდებიდან. ნაკრებში კი, მეგონა, თავს არ ვზოგავდი. თურმე, ზოგიერთს სხვაგვარად მიაჩნია. თვითმფრინავში სვამდნენ. მე ვერ ვხვდები, ლუდის სმა, რაც ყველა ნორმალურ ქვეყანაში მატჩის შემდეგ ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება, დანაშაულია? ჯერ ერთი, ლუდი მარილს შემცველია, რაც გადაღლილ ორგანიზმს ძალის აღსადგენად სჭირდება და თანაც განტვირთვას უწყობს ხელს. ტაშ-ფანდური არავის გაუმართავს. ვის მოუბრუნდება ენა და გვეტყვის, წაგება გულთან ახლოს არ მიიტანეთო? თუ ლუდის სმა მაინც დანაშაულად ჩაგვეთვლება, ამან მატჩის შედეგზე იქონია გავლენა? ეს ყველაფერი ხომ მაშინ მოხდა, როდესაც ორკვირიანი დასვენება გვიწევდა, სეზონი უკვე გასრულებული იყო, ამგვარი ბრალდებები მოძველებული აზროვნების შედეგია. თანამედროვე სპეციალისტები სხვაგვარად სჯიან. ევროპის ჩემპიონატის წინ ინგლისის ნაკრების რამდენიმე წევრი დათვრა. ამაზე ვენეიბლზს ჰკითხეს, მათ საქციელს როგორ შეაფასებდითო? როგორ უნდა შეეფასო, პროფესიონალმა ფეხბურთელმა იცის თავის საქმე, ჩემი მოვალეობაა, თამაშის დღეს ნაკრების წევრებიდან 11 საუკეთესო შევარჩიო. რა თქმა უნდა, ვის გამოიძახებენ ნაკრებში და ვის — არა, ეს ხელმძღვანელობის საქმეა. მოთამაშეთა დასჯა ყოფიანის საქმეა და არა ფედერაციის თავკაცებისა. მთავარი მწვრთნელისგან კი მსგავსი რამ არავის სმენია. მე გული არ დამწყდება, თუ მხოლოდ იმიტომ არ გამომიძახებენ, რომ ნაკრებს ველარ გამოვადგები, მაგრამ ცილს ნუ მწამებენ. საქართველოს ნაკრებში თამაშს ზარელედ არასდროს მოვკიდებივარ.

— და კი გამორჩათ, რომ იტალიასთან მატჩს ავტომატურად გამოტოვებ...

— მართალია, პოლონეთთან მეორე ყვითელი მივიღე და დასჯის გარეშეც ღასჯილი გამოვდიარ.

მერაბ ჯამუღაშვილი

Cup Winners' Cup

ბათუმი — არარატი

ბათუმი. სტადიონი „დინამო". 4 აგვისტო

არარატი მოგებით იწყებს

გემახსოვრებათ, ამას წინათ სომხეთის ჩემპიონატში ერევნის „არარატის" თამაშების განრიგი გამოვაქვეყნეთ. იქვე ვწერდით, თუ როგორი შრომა-ჯაფის ფასად მოვიპოვეთ ეს ინფორმაცია: არც ის დაგვიმალავს, რომ, ბათუმელთა მეტოქის წარმომადგენლის იჭვნეულმა ტონმა ჩაგვაფიქრა და თადარიგიც დავიჭირეთ: „არარატი" როდის, ვისთან და სად თამაშობს იქნებ ამით ბათუმელთა ხელმძღვანელები თავად დაინტერესდნენ და „არარატის" კალენდარი უფრო ზუსტად დაადგინონო, მივაწერეთ.

როგორც გუშინ გავარკვიეთ, მელანი ტყუილ-უბრალოდ არ დაგვიხარჯავს. ჩვენი ეჭვი საფუძვლიანად გამოდგა. იმ სომეხმა კაცმა გვითხრა, „არარატი" პირველ მატჩს 25 ივლისს ერევნის „ომენმენთან" თამაშობს „რაზდანზე", მეორეს კი 3 აგვისტოს, ასევე ერევნის „ყარაბაღთანო". მოუტყუებივართ, თურმე, „ბათუმის" მეტოქემ ჩემპიონატი მხოლოდ გუშინწინ, 3 აგვისტოს, დაიწყო და ვანაძორის „ლორს" სტუმრად 2:0 სძლია. მთელი თამაში „არარატის" უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ გოლები მატჩის მიწურულს — 70-ე და 75-ე წუთებზე შეუგდიათ. პირველი ტერ-პეტროსიანს გაუტანია, მეორე — აბრამიანს. სულ ეს არის, სომხებს მეტი ვერაფერი დავსტყუეთ. ესეც გასაკვირია — თამაშის ანგარიში და გოლების გამტანთა ვინაობა რომ გაგვიმხილეს. საიდან არ მიეუდექით, რა არ ვუთხარით, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა — თქვენი „ბათუმი" ხვალ ქუთაისში სუპერთასზე თამაშობს თბილისის დინამოელებთან და მაგ მატჩის შესახებ თუ გეეტყვით დაწვრილებით, შემადგელობასაც თუ მოგვცემთ, მაშინ ჩვენც გავიმეტებთ ორიოდ სიტყვასო, ასეთი იყო პასუხი.

ასეთი პასუხის შემდეგ, ნუ გაგიკვირდებათ, „არარატზე" ახალ ამბებს თუ ველარ წაიკითხავთ „ბათუმთან" თამაშამდე. თუმცა, ჩვენსას მაინც ვეცდებით. ბოლოს და ბოლოს სომხებისაგან თუ ვერაფერს შევიტყობთ, იმედია, ერევნიდან დაბრუნებული ზღვასპირელთა ტექნიკური დირექტორი მეელუდ ცინარიძე მაინც არ დაგვზარდება და რამე საინტერესოს მოგვითხრობს. იგი 7 აგვისტოს მიემგზავრება ერევანში. ამ დღეს, სომეხთა ცნობას თუ კიდევ ვენდობით, „არარატმა" აბოვიანის „კოტაიკს" უნდა უმასპინძლოს.

ძოგბა ინასარიძე

მსაჯები „ტერორისტებსაც" დაერივნენ

აფხაზეთში რომ საფეხბურთო ჩემპიონატი ტარდება და მას იქაურები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ამაზე არაერთხელ ვწერდით. ამ დღეებში ეს გათამაშება გარკვეული დროით შეწყდა და ისევ განახლდა და აი, რატომ — როგორც გაზეთი „რესპუბლიკა აბხაზია" იუწყება, ოთხი გუნდის — ბიჭვინთის „კიარაზის", ოჩამჩირის „ერცახუს", გაგრის „დინამოსა" და სოხუმის „შერა აბაზგის" ფეხბურთელთა უმრავლესობა და ჩემპიონატის მოსახურე მსაჯია საწილი, როგორც „რეზერვისტები", დროებით გაწვეულნი იყვნენ სამხედრო ნაწილებში. ისინი გასულ თვეს მონაწილეობდნენ გულრიფშისა და ზოგიერთ სხვა რაიონების ტერიტორიაზე არსებული „ტერორისტული ჯგუფების" ლიკვიდაციაში. როგორ ჩაიარა ოპერაციამ, ვერ გეტყვით, თუმცა ამ დღეებში ჩემპიონატი განახლებულა. ჩემპიონთა ლიგამდე ჯერ შორია, მაგრამ პირველობისთვის თურმე სოხუმის „სკა-დინამო" დაწინაურებულა. მას კუდში ახალი ათონის „ფსირცხა" და სოფელ კუტოლის „ბზანა" მიჰყვებიან.

იმავე „რესპუბლიკა აბხაზიაში" ამასწინათ სტადიონების სავალალო მდგომარეობაზეც იყო საუბარი. სოხუმის რესპუბლიკური სტადიონი პირწმინდად გაუძარცვავთ, თან იმ დროს, როცა ქართველები იქ აღარ იყვნენ. კარ-ფანჯრებიდან დაწყებული შესასვლელი ბილეთების ბლანკებით (ეს ვიღას სჭირდებოდა?) დამთავრებული ყველაფერი მოუპარავთ და ახლა ამ სტადიონზე მატჩები არ ტარდება. ახლა ალბათ ასეთივე ბედი ეწევა გალის სტადიონსაც, რომელზეც 2 აგვისტოს რუსეთის საჰაერო-მედესანტეთა ჯარების დღე აღინიშნა. მოედანზე, სადაც თავის დროზე გალის „მზიური" თამაშობდა და სადაც ფეხი აიდგა თემურ ქეცბაიამ, იმ დღეს რუსეთის სამშვიდობო ძალების აღლუმი მოაწყვეს. საფეხბურთო მოედანზე არც მძიმე ტექნიკისა და „ამპ"-ს შეყვანას მოერიდნენ. თუ გავიხსენებთ, რომ 1995-96 წლებში ამ სტადიონს მინი-აეროპორტადაც კი იყენებდნენ შეუღმფრენებისთვის, ადვილად წარმოსადგენია, რა დღეში იქნება მოედანი.

თენგიზ პაჭკორია
საგანგებოდ „სარბიელისთვის"

2 000 მოტყუებული

გუშინწინ „სიონის" მწვრთნელმა ანზორ გძელიძემ შემოგვჩივლა: დღეს „მეტალურგთან" ამხანავურად უნდა გვეთამაშა, სტადიონზე ორი ათასამდე ქომაგი და ქალაქის ხელმძღვანელობაც მოვიდა... მეტოქე კი არ გამოგვცხადდაო... ამათ ორშაბათისთვის სხვა გუნდთან თამაში დაუპირებიათ და ჩვენ კი არაფერი შეგვატყობინესო.

ვითომ ყველა საკითხი გადაწყდა?

2 აგვისტოს ფეხბურთის ფედერაციამ შეპირებული სატრანსფერო კომისიის სხდომა მოაწყო, ოღონდ, ბუნებრივია, დახურულ კარს მიღმა. იქიდან ვამოსულებმა განაცხადეს, ყველა სადაო საკითხი გადაწყდაო. კერძოდ რა, არავის უთქვამს...

ყველაფრის დამალვა-მიჩუმათებას ჟურნალისტები მიჩვეულნი ვართ, მაგრამ ვინ სად გადადის და რომელ კლუბში, ამის დამალვას რა მიზანი უნდა ჰქონდეს?

სატრანსფერო კომისიაზე 4 ფეხბურთელის საქმე გარჩეულა. აქედან 3 ყოფილა სამტრედიელის. „სამტრედიას" ზუგდიდური „ოდიში" ბიძინა ივანიანს და ლევან ანჯაფარიძეს ედაეკიბოდა. ფეხბურთელები მოსამზადებელ ეტაპს ზუგდიდში გადიან და ფაქტობრივად კლუბის წევრებად ირიცხებიან. დავა-კამათი მეგრელებს მოუვიათ და დარჩა „სამტრედია" მშრალზეო, გვითხრეს. იმერლებმა კიდევ ერთი ფეხბურთელი — დათო პეტრიაშვილი დაკარგეს, რომელიც ფაქტობრივად მათგან შარშანვე წაიყიდა. იგი „მორკინალმა" გადაიბირა.

ბოლოს ოჩამჩირელი ჯონი შალამბერიძის საკითხი გაუტანიათ, რომელიც სენაკის „ეგრისიდან" გემახსოვრებათ. ჯონის ფედერაციამ ერთი ხანობა დისკვალიფიკაცია მისცა, მერე კი თვალთახედვის არედან დაგვეკარგა და ახლახანს თსუ-ში ჩარიცხა. შალამბერიძეზე პრეტენზიას „ეგრისიც" აცხადებდა და „ამირანიც". სატრანსფერო კომისიას დაუდგენია, თბილისის თსუ-ს თუ ფეხბურთელის დატოვება სურს, გარკვეული თანხის გაღება მოუწევს, რომლითაც „ეგრისი" და „ამირანი" იხეირებენო.

მაჭუტაძე ვარჯიშს შეუდგა

როგორც იქნა, ვარჯიში განაახლა „ბათუმის" ფორვარდმა პაატა მაჭუტაძემ. გახსოვთ, ალბათ, თუ როგორი შედეგიანობით გამოირჩეოდა ეს ფეხბურთელი, მაგრამ ტრავმებმა ისე შეაწუხა, რომ გასული სეზონი საერთოდ გამოტოვა. ძირითადად მენისკს უჭიოდა ხან ერთ, ხან მეორე ფეხზე. ვარჯიშს დაიწყებდა თუ არა, ფეხი ისე ასტკივდებოდა ხოლმე, იძულებული იყო, ხანგრძლივად ემკურნალა. ახლა ბათუმელთა გოლეადორი სრულად გამოჯანმრთელებულა და გუნდთან ერთად ვარჯიშობს. თუმცა, შესაძლოა თასების თასზე „არარატთან" ორივე შეხვედრა გამოტოვოს, მიზეზი კარგა ხნის უთამაშებლობა და სასურველ ფორმაში ვერ ყოფნაა. ისე, სომხებთან მატჩამდე ჯერ კიდევ არის დრო და კარგი იქნება, თუ პაატა ისედაც შესუსტებულ „ბათუმის" თავდასხმას გააძლიერებს.

CHAMPIONS LEAGUE

ბაიერი — დინამო

ლევერკუზენი. „ულრიხ ჰაბერლანდ შტადიონ". 13 აგვისტო

გუნდია თუ ლაზარეთი...

ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად ჩვენს „დინამოს" სასწაულის ჩადენა მოუწევს. სამართლეს თვალს თუ გავუსწორებთ, ლევერკუზენის „ბაიერის" დამარცხება თითქმის შეუძლებლად ჩანს, მაგრამ, მოგეხსენებათ, ბურთი მრგვალია და გულშემატკივრებიც მცირედით, მაგრამ მაინც იმედით ელიან 13, შემდეგ კი 27 აგვისტოს. დინამოელებს საქმე „კრუზედერსის" გზიდან ჩამოცილების შემდეგ ძლიერ გაურთულდათ. ანჩაბაძე რომ გერმანელებთან ვერ ითამაშებს, ეს გადაწყვეტილი ამბავია, მაგრამ თანაგუნდელებს ვერც დემეტრაძე, მაჭავარიანი და ყიზილაშვილი დაეხმარებიან. ამათ სხვადასხვა ავადმყოფობამ დარია ხელი. მიზეზთა დასადგენად „დინამოს" ცნობილ დასტაქარ *ზაქრო თელიას* მივაკითხეთ, მან კი საიმედო ვერაფერი გვითხრა:

— ერთი კვირაა, გიორგი დემეტრაძე შეუძლოდ გაგვიხდა. გამოკვლევამ გიორგის ინფექციური სიყვითლე, ანუ ბოტკინი დაუდგინა. ფეხბურთელი სამკურნალოდ ინფექციურ საავადმყოფოში დავაწვინეთ და მის გამოჯანმრთელებას მინიმუმ 4, მაქსიმუმ კი 6 თვე დასჭირდება.

ყიზილაშვილს თავის ტრავმა, სულ ცოტა, ერთ თვეს დაასვენებს. დათოს ტენინს შერყევა აქვს და 3 კვირა გაუნძრევლად წოლა მოუწევს, ერთი კვირა კი აღდგენით პროცესს დაჭირდება.

მამუკა მაჭავარიანი ისევ მუხლმა შეაწუხა. მას დიდი ოდენობით შედედებული სისხლი ამოუღეთ მუხლიდან. ასე რომ, სამიოდ კვირას ისიც ვერ ივარჯიშებს.

გუნდის თითქმის ყველა სხვა წევრსაც მიკრო-ტრავმები კი აწუხებს, მაგრამ ალბათ არაფერი გართულდება. დანარჩენები გერმანიაში ჯანზე იქნებიან.

მთლად კარგი ამბები ვერ გითხარით, მაგრამ რას ეიზამთ, ფეხბურთი უტრავმოდ არავის გაუცია. სამაგიეროდ, გუნდს შენამატიც ჰყავს: ლობჟანიძე ფაქტიურად, დავებრუნდა, ჯელაძეს დისკვალიფიკაციის ვადა ვასდის და ალბათ მინდორზეც ვიხილავთ, „დინამოს" ზუგდიდიდან გადმობარგებული ვალტერ გუჩუას იმედიც აქვს, რომელიც კარგა ხანია „დინამოში" ემზადება, მაგრამ ანჩაბაძის არყოფნა მაინც ყველაზე დიდი დანაკლისი გახლავთ და ამას კლუბის თავკაცებიც ერთხმად აღნიშნავენ.

მამუკა ძმანტალიანი

პირველი ტშრი ჩემპიონის გარეშე

ზეგ მეცხრე ეროვნული ჩემპიონატი იწყება, მაგრამ კალენდრით გათვალისწინებული რეა მატჩიდან პირველ ტურში მხოლოდ შვიდი გაიმართება. ფეხბურთის ფედერაცია თამაშების გადადებას ვერაფრით აიცილებს თავიდან, რაც მეტად არასასურველია. გადადო 8 აგვისტოს შეხვედრაც „დინამოსა" და „მეტალურგს" შორის. ეს ალბათ, პირველ წრეში ერთადერთი შემთხვევა არ იქნება და გათამაშების ცხრილშიც არეკ-დარევას გამოიწვევს. ამის მაგალითები წინა ჩემპიონატიდანაც გვახსოვს.

მაინც, რატომ არ ჩატარდება „დინამო" — „მეტალურგი"? რატომ და, ჩვენი ჩემპიონი 6 აგვისტოს გერმანიას მიემგზავრება, რათა შტუტგარტიდან 40 კილომეტრში მდებარე დაბაში „ლეეერკუზენთან" შეხვედრისთვის მოემზადოს. ამიტომ თბილისელები 8 აგვისტოს ეროვნულ სტადიონზე რუსთაველებს ვერ დახვდებიან. იმ დღეებში ჩვენები „ლეეერკუზენს" საქმეში ნახავენ: გერმანიის ჩემპიონატის მესამე ტურში ჩვენი მომავალი მეტოქე შტუტგარტში სტუმრობს.

„დინამოს" თავკაცობამ ფედერაციას წერილი აახლა, თამაში გადაგვიდეთო. ფედერაციაც დაეთანხმა.

გელაძე „დინამოშია"

ალეკო გელაძე, რომელმაც „აუგსბურგიდან" წამოსვლის შემდეგ „მერანში" ინტერტოტოზე მხოლოდ ერთი შეხვედრა ჩაატარა, ამჟამად თბილისის „დინამოში" ვარჯიშობს. იგი „დინამოში" ჯერ კიდევ 1988 წელს მიიწვია გერმან ზონინმა სხვა ნიჭიერ ახალგაზრდებთან ერთად. შემდეგ იყო „შევარდენი", „მრეტები", „აუგსბურგი" და მისი თავდამსხმელად გარდაქმნა. ყიფიანს კი მისი კვლავ დამცველობა განუზრახავს.

ჩვენ რომ მოვდიოდით...

1987-88 სეზონში საბჭოურმა თბილისის „დინამომ" უკანასკნელად მიიღო მონაწილეობა ევროთასებზე. ამავე წელს უეფას თასი აწ უკვე ქართული „დინამოს" ახლანდელმა მეტოქემ, ლევერკუზენის „ბაიერმა" მოიპოვა. ეს გერმანული გუნდისთვის ევროთასებზე მხოლოდ მეორე გამოსვლა გახლდათ. ასე რომ, ჩვენ რომ მოვდიოდით... თუმცა, ამას, ცხადია, რაღა მნიშვნელობა აქვს.

ლევერკუზენის „ბაიერი" ევროთასებზე

1986-87	უთ	კალმარი (შვედეთი) — ბაიერი	1:4, 0:3
		დუკლა (ჩეხოსლოვაკია) — ბაიერი	0:0, 1:1
1987-88	უთ	აუსტრია (ვენა, ავსტრია) — ბაიერი	0:0, 1:5
		ტულუზი (საფრანგეთი) — ბაიერი	1:1, 0:1
		ფეიენოორდი (ჰოლანდია) — ბაიერი	2:2, 0:1
		ბაიერი — ბარსელონა (ესპანეთი)	0:0, 1:0
		ბაიერი — ვერდერი (გერმანია)	1:0, 0:0
		ესპანიოლი (ესპანეთი) — ბაიერი	3:0, 0:3 პენ. 2:3
1988-89	უთ	ბაიერი — ბელენენსეში (პორტუგალია)	0:1, 0:1
1990-91	უთ	ბაიერი — ტვენტე (ჰოლანდია)	1:0, 1:1 (დ.დ.)
		გკს (კატოვიცე, პოლონეთი) — ბაიერი	1:2, 0:4
		ბრონდბიუ (დანია) — ბაიერი	3:0, 0:0
1993-94	თთ	ბაიერი — ბობი (ბრნო, ჩეხეთი)	2:0, 3:0
		პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — ბაიერი	1:4, 2:1
		ბენფიკა (პორტუგალია) — ბაიერი	1:1, 4:4
1994-95	უთ	ბაიერი — ეინდჰოვენი (ჰოლანდია)	5:4, 0:0
		კიშპეშტ-ჰონვედი (უნგრეთი) — ბაიერი	0:2, 0:5
		გკს (კატოვიცე, პოლონეთი) — ბაიერი	1:4, 0:4
		ბაიერი — ნანტი (საფრანგეთი)	5:1, 0:0
		ბაიერი — პარმა (იტალია)	1:2, 0:3

სად ითამაშებს ღუდუშაური?

გიორგი ღუდუშაურს გერმანიის რეგიონალლიგის „ზალმრორთან" სამწლიანი კონტრაქტი ივნისში დაუსრულდა და მას შემდეგ ახალ, უფრო ძლიერ გუნდში გადასვლას ლამობდა. შესაძლოა, ეს მალე მოხდეს.

„როტორი", „ტორპედო", ცსკა, „ალანია", „დნეპრი". ამ კლუბებთან „ხრუბეშს" მენეჯერი მოლაპარაკებას აწარმობდა. ყველაზე მისაღები და რეალური ისევ „ალანიას" ვარიანტი ყოფილა. ვალერი გაზაევს ღუდუშაურის თამაშის ვიდეოჩანაწერი უნახავს და მოსწონებია. მაგრამ გიორგის გადასვლა ამით მაინც არ გადაწყვეტილა და აი, რატომ — „ზალმრორის" მწვრთნელმა ერიდება და ამის გამო ვლადიკავკაზელებთან მხოლოდ ერთწლიანი ხელშეკრულება სურს, გაზაევი კი ორწლიანს ითხოვს. საქმის მოსაგვარებლად ღუდუშაურის მენეჯერი გუშინ ოსეთს გაეშურა.

ღუდუშაურის გადაბირება თბილისის „დინამოსაც" სურს.

ნუგზარ ლობჟანიძე: მოვედი, რათა წავიდე

გინახავთ ქართველი, დინამოელი ფეხბურთელი, რომელიც უცხოეთში უფრო მაღალი დონის ჩემპიონატში თამაშსა და უკეთეს პირობებს არ ნატრულობდეს? ბუნებრივია, არა. ნუგზარ ლობჟანიძეც იგივეს ფიქრობდა. იგი ახალ სეზონში ცსკა-ში ჩაირიცხა იმ იმედით, რომ რუსეთის ჩემპიონატში თამაში ხელს შეუწყობდა უფრო ძლიერ ევროპულ გუნდში მის გადასვლას. თავდაპირველად არმიელთა მთავარი მწვრთნელის პაველ სადირინის ქებაც დაიმსახურა და უცვა...

...ლობჟანიძე „დინამოში" დაბრუნდა! მისი სურვილი, დაეტოვებინა ცეესკა, „დინამოს" თავკაცებმა უმალ შეიტყვეს, ლობჟანიძის შესყიდვა გადაწყვიტეს და საქმე სწრაფად მოაგვარეს: ამჟამად სკილეტა გუნდთან ერთად ჩემპიონთა თასზე „ბაიერთან" სათამაშოდ ემზადება.

მაგრამ რატომ აიყარა იგი რუსეთიდან, რა მიზეზით? ამის შესახებ თავად ლობჟანიძე გვიამბობს:

— ბევრი ფიქრის შემდეგ მოსკოვის დატოვება ვარჩიე. გუნდი სუსტად თამაშობდა და ვერ შევეგუე. თუმცა, არ მინდა, ვინმეს გულში ეჭვი დავუტოვო და ვითარებაში გაგარკვევთ: არავისთან არანაირი უთანხმოება არ მომსვლია. უბრალოდ, იყო მიზეზი, რომელზედაც, ჩემი აზრით, არ ღირს საუბარიც. ეს ეხება ჩემს გუნდთან ურთიერთობას. ისე, სადირინი ჩემით კმაყოფილი იყო.

— ესე იგი, კონტრაქტის დარღვევა თავად ისურვე?

— ასეა, მაგრამ მთავარი არ მითქამს. ცსკა-ზე გაცილებით ძლიერ გუნდში გადასვლის შანსი გამიჩნდა, ეს კი „დინამოში" ჩემპიონთა თასზე თამაშის შემდეგ გახდება შესაძლებელი. დეტალებზე საუბარს და ვითარების დაკონკრეტებას მოვერიდები. უკეთესი გუნდის ძებნაში ყოველთვის „დინამოს" ხელმძღვანელობა მეხმარებოდა და ახლაც ასე იქნება.

— ჩემპიონთა თასის შემდეგ რომელ გუნდზეა საუბარი?

— წინასწარ არაფრის თქმა მსურს, თუმცა, კონკრეტული წინადადება რომ არ მქონდა, რუსეთიდან არ წამოვიდოდი. შესაძლოა, ეს გერმანული გუნდიც იყოს, მაგრამ საქმის საბოლოო მოგვარებამდე ვერ დავასახელებ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი თავის იმედი მაქვს.

ახლა კი „ბაიერთან" შეხვედრაზე ვფიქრობ. ამჟამად ეს არის ჩემთვის მთავარი. „დინამო" მშობლიური გუნდია და შეძლებისდაგვარად მსურს, დავეხმარო.

— მეთანხმები, რომ დინამოელ ლობჟანიძესთან შედარებით არმიელი ლობჟანიძე გაცილებით ფერმკრთალად გამოიყურებოდა?

— რა თქმა უნდა. „დინამოსა" და ნაკრებში მეგობრებთან მიწევს თამაში, აქ ყველა ერთმანეთს გვერდში უდგას და შეთამაშებულნი ვართ. დღევანდელ დასუსტებულ და შეუთამაშებელ ცსკა-ში კი მეტად ძნელია თავის გამორჩენა. არმიელებს რუსეთში გუნდ-კარუსელას ეძახიან. ხან ვიგებდით, უფრო ხშირად ვაგებდით, მეტად არასტაბილურად ვთამაშობდით. თუმცა, ჩემს საქმეს ყოველთვის ვასრულებდი, ყოველ შემთხვევაში, არას ვაფუჭებდი. მაგრამ, ხომ გეუბნები, ასეთ გუნდში კარგად არავინ გამოჩნდება.

— ერთ-ერთ შეხვედრაში მძიმე ტრავმა მიგიღია. სრულად განიკურნე?

— სხვათა შორის, ძალიან სერიოზული არაფერია. ასე თავიდან მეგონა, სახსართან ტკივილებს ვგრძნობდი, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეს ყველაფერი გადაღლის ბრალი ყოფილა. ნაკრებში და ცსკა-ში თამაშები ერთმანეთს გადაეჯაჭვა და გადავიღალე. უკვე კარგა ხანია, ვარჯიშებს შევუდექი. ამჟამად სრულად ვიტვირთები. რუსეთის ჩემპიონატის მეორე წრეში „ალანიასთანაც" უნდა მეთამაშა, მაგრამ სადირინს ვუთხარი, ჯერ ფორმაში არ ვარ და ასეთ მდგომარეობაში ჩემი მოედანზე გასვლა გაუმართლებელი იქნება-მეთქი. ახლა კი „ბაიერის" დასახვედრად ვემზადები.

...სულ ეს იყო, მეტი ვერ ვისაუბრეთ, ყიფიანმა მოთამაშეებს სულ ნახევარი საათით მისცა ბაზიდან გასვლის უფლება და ამ ძვირფასი დროის დიდი ნაწილი სკილეტამ ჩვენს გაზეთს დაუთმო.

მერაბ მამულაშვილი

ბადრი ჯობლაძის ფოტო

გიორგი დარასელია: მიველ, ვნახე, გავიმარჯვე!

ისრაელის ჩემპიონატში ნათამაშევი პირველი მატჩისა და ასევე პირველი გოლის გატანის შემდეგ გიორგი დარასელიას გუშინ დილით სასტუმროში დავუკავეთ. მისმა მეუღლემ კი გაგვაფრთხილა, პორტიეს ოთახის ნომერი უნდა უთხრათ და დაგაკავშირებთო, მაგრამ რაკი გუშინწინ საღამოსაც ეცდილობდით დარეკვას, დილით პირდაპირ ძუკუს ხმა გავიგონეთ. ასე რომ, ვალიკო მიზანდარეთი არ დაგვმართებია, თუმცა კი სამშობლოდან ორიოდ დღის გადახვეწილს ქართველ ჟურნალისტთა შეხმიანება ისე გაუხარდა, როგორც არასდროს. მოსაზარებელი თავადაც ჰქონდა.

გიორგი აღთქმულ მიწაზე პირველ აგვისტოს ჩავიდა, სადაც მთელი გუნდი დახვდა. პირველად თელ-ავივის „ჰაპოელის" ისტორიაში ვარჯიში დილიდან საღამოსთვის გადადეს, ქართველს რომ გუნდთან ევარჯიშა. მეორე დღეს „ჰაპოელი" ჰერცლიას „მაკაბის" ესტუმრა, რომელიც ჩვენებურ, ქუთაისის „ტორპედოზე" ოდნავ ძლიერი გუნდი ყოფილა, და ბოლო წუთზე ძუკუს მიერვე გატანილი გოლით 1:0 მოიგო.

ბოლო დღეებში თბილისში ამბობდნენ, დარასელიამ ულამაზესი გოლი გაიტანა და თავად გიორგიმ იგი ასე აღგვიწერა: მართლა ლამაზი გოლი იყო. ცენტრიდან 10 მეტრის მოშორებით მივიღე ბურთი და მარცხენა ფრთიდან შეეუტიე, თავდამსხმელს საჯარიმოში კედელი გავუთამაშე და შორიდანვე ავუჭერი მეკარესა და მცველს".

გოლს მსაჯის საფინალო სასტვენიც მოჰყვა და „ჰაპოელის" გულშემატკივრები, 3 000 კაცამდე რომ ახლდა თაღის გუნდს გასვლით მატჩზე, სტადიონზე შეიჭრნენ და დარასელია ხელში ატაცებული გამოიყვანეს. ავტობუსამდე ნახევარ საათში ძლივს მივაღწიეო, გვითხრა გიორგიმ.

ისრაელის გუშინდელ პრესაში სულ ჩემი ფოტოებია და ჩემზე წერიაო, დაამატა დარასელიამ, ტურში ყველაზე მაღალი შეფასება — 7,0 მე მივიღე და ჩემთან ერთად აკაკი დეკაძემაც, რომლის გუნდმაც ამდღეს „ირონმა" სტუმრადვე ფრედ 1:1 ითამაშა იერუსალიმის „ბეითართან".

კვირას ერთ-ერთ გაზეთს დარასელიას ინტერვიუ დაუბეჭდავს მისივე ბიოგრაფიის დართვით, წინა დღეს კი — „ჰაპოელის" პრეზიდენტისა, რომლიც გიორგის დაგვიანებას ისე შეუშფოთებია, სპეცრეისის დანიშვნასაც აპირებდა.

საბედნიეროდ, დარასელიამ გუნდს პირველ თამაშზე ჩაუსწრო და მოაგებინა კიდეც. ეს ერთი და სხვა მრავალი...

ვახტანგ ბზიავაძე

ისრაელის ჩემპიონატის პირველი ტურის სხვა მატჩები ასე დასრულდა: მაკაბი (თელ ავივი) — ჰაპოელი (ქვარ შაბა) 1:2, ჰაპოელი (ჰაიფა) — მაკაბი (ფეთახ თიკვა) 1:0, ირონი (იშონ ლეციონი) — ჰაპოელი (ბეით შანი) 2:0, ჰაპოელი (ბერშევა) — ბნეი იეგუდა (თელ ავივი) 2:0, ჰაპოელი (ფეთახ თიკვა) — მაკაბი (ჰაიფა) 1:4, ჰაპოელი (აშქელონი) — ჰაპოელი (იერუსალიმი) 1:2

შეიძლება დავიფიცო...

ამასწინათ უცხოეთში ყოფნისას ვაცნობი ჟურნალისტისგან ეს ანეკდოტი მოვისმინე: „სომხეთის რადიოს ეკითხებიან, თუ იცით, რა განსხვავებაა ახალ რუსსა და ახალ ქართველს შორის? რადიო პასუხობს — გაცხარებული ახალი რუსი სხვას, ახალი ქართველი კი საკუთარ თავს ავიწებს დედასო".

არ ვიცი, რატომ და, ეს ანეგდოტი გამახსენდა ფოთის „კოლხეთი 1913"-ისა და მინსკის „დინამოს" უეფას თასის საპასუხო მატჩის დამთავრების შემდეგ. მანამდე კი სტადიონზე მისულს ეგრეთ წოდებულ „მთავრობის ლოჟაში", საიდანაც ტელერეპორტაჟს უნდა გაეძღოლოდი, სხვებთან ერთად დამხვდა ჩემი ძველი მეგობარი — ბელარუსის ტელევიზიის კომენტატორი ვლადიმერ ნოვიცკი. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ დავინტერესდი რა რეჟიმში უნდა იმუშაო-მეთქი. ღიმილით მიპასუხა, არა, ნუგზარ, ტელერეპორტაჟისთვის როდი ვარ ჩამოსული. ისევე, როგორც თქვენთან, ჩვენთანაც ახლა ტელევიზიაში უსახსრობაა და უცხოეთიდან მატჩის ტრანსლაცია წარსულს ჩაბარდა. ჩემი ფულით ჩამოვედი და იცი რატომ? თქვენი ლამაზი საქართველო მომენატრა. ამის გამოგონეს თვალზე ცრემლი მომადგა, გულით გავიხარე, ეიფიქრე, კიდევ არიან ქვეყნად ალალი ადამიანები-მეთქი და... აი, ამ ჩემს საშობლოზე შეყვარებულ ადამიანს თამაშის შემდეგ მსაჯზე განაწყენებულმა ადგილობრივმა ვაი-ჟურნალისტმა (შეიძლება, იგი ჩვენს ამჟარს მოტმასნილი გარეშეც იყო, მაგრამ მთავრობის ლოჟაში ჟურნალისტებისთვის გამოყოფილ ადგილზე კი იჯდა) უშვერი სიტყვებით აგინა. იმ ახალგაზრდა კაცმა (წაიკითხე, ახალმა ქართველმა — რადგან გადაჭედილ ლოჟაში ჩვეულებრივი ახალგაზრდა ვერ მოხვედრებოდა) აგინა, ასე ეთქვათ, საკუთარ დედას. დიახ, საკუთარ დედას!

ახლა მთავარი: ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს ფოთი რომ უყვარდეს, ეს რა გასაკვირია. მაგრამ მე განსაკუთრებით მიყვარს ჩვენი სანავსადგურო ქალაქი, დიდი ნიკო ნიკოლაძის პირმშო, სადაც საოცრად თბილი, სტუმართმოყვარე, ნაღდი კოლხები ცხოვრობენ. მიყვარს იმიტომაც, რომ ფოთმა ჩემი იმიჯის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა, გთხოვთ, გაიხსენოთ ეს ფრაზა, მე რომ მეკუთვნის: „ბათუმი, სოხუმი, ფოთუმი". და ბოლოს, იმიტომაც მიყვარს ეს ქალაქი, რომ იგი ქართული ფეხბურთის აკვანია. აქ ხომ საუკუნეზე მეტია, ფეხბურთის თამაშობენ და ფეხბურთს უყურებენ. ჰოდა, მაყურებელზე, თანამედროვე ახალგაზრდა მაყურებელზე მტკივა გული, ხანდახან ასე რომ ჰყვებიან ხოლმე თავიანთ დაუოკებელ ტემპერამენტს და ავიწყდებათ, რომ ისინი დიდი ქალაქის შვილები არიან და... მახსენდება ის შეურაცხყოფა, ბატონ რეზო ძოძუაშვილს რომ მიაყენეს. მახსენდება ამ სამი წლის წინანდელი ერთი მატჩი, რომლის დამთავრების შემდეგ მსაჯთა ბრიგადა გამძვინვარებული ბრბოსგან თავდასაცავად ხუთი საათი საშხაპეში იყო შეფარებული. კი ბატონო, ასეთი რამ ჩვენშიც და უცხოეთშიც მრავლად ხდება, მაგრამ გულით მინდა, ასეთი რამ დიდი ტრაიციების ქალაქში არ ხდებოდეს.

და ბოლოს, თუ ვინმეს აინტერესებს ჩემი აზრი ფოთის „კოლხეთ-1913"-ზე, ამას ვიტყვი: ეს ჩემი ქვეყნის ერთერთი საუკეთესო გუნდია. უკანასკნელ ხანს ჩვენს საფეხბურთო ჩემპიონატში ბევრი გუნდი ამობრწყინდა, სამწუხაროდ, შემდგომ ჩაკვდა. ფოთის გუნდი კი, რომელმაც პირველ ეროვნული ჩემპიონატის პირველ მატჩში პირველი გამარჯვება იზეიმა, სტაბილურად მიიწევს იმ ადგილისკენ, რომელიც ეკადრება იმ ქალაქს, საიდანაც ქართულმა ფეხბურთმა სათავე აიღო. ვფიქრობ, მართალი ვარ, მართალი ვარ და... შემიძლია დედაც დავიფიცო...

ნუგზარ ჯუღელი

P.S. ვსარგებლობ შემთხვევით და სავსებით, ვეთანხმები ახალგაზრდა ჟურნალისტის კობა ინასარიძის ორ წერილში გამოქმულ აზრს მსაჯ ვალერი ბუტენკოზე და კიდევ, მივესალმები მის გაბედულებას, რომ ენას არ უწრიალებს მკითხველს და ამბობს (წერს) იმას, რაც სურს თქვას.

გერმანია

I ტური

შალკე 04 2:1 ლევერკუზენი V
0:1 კირსტენი (10), 1:1 დე კოკი (59), 2:1 ვან ჰუდტალემი (66)

კარლსრუე 3:1 ვერდერი V
1:0 გილევიცი (37), 2:0 ვუიკი (50), 2:1 ბოდე (55), 3:1 შროტი (90)

ბოხუმი 1:0 არმინია V
1:0 ვოში (80)

კიოლნი 3:2 დუისბურგი V
0:1 ეჰტო (18), 1:1 გაისმაიერი (35), 1:2 ციაირი (69), 2:2 ტრეხოკი (71), 3:2 პოლსტერი (76)

ჰანზა 0:1 ვოლფსბურგი V
0:1 პრეგერი (90)

გაიერნი 0:1 კაიზერსლაუტერნი V
0:1 შონბერგი (80)

შტუტგარტი 1:1 მიუნხენ 1860 V
1:0 ბალაკოვი (22), 1:1 ვინკლერი (88)

ჰერტა 1:1 დორტმუნდი V
0:1 რიკენი (26), 1:1 ჩოვანიჩი (35)

ჰამბურგი 2:2 გლადბახი V
0:1, 0:2 პეტერსონი (38, 47), 2:1 ვიტენდორფი (72), 2:2 სალიხამიჯიჩი (90)

წლევანდელი გერმანული ფეხბურთის ელიტაში სამი აღზევებული კლუბია — „ჰერტა“, „ვოლფსბურგი“ და „კაიზერსლაუტერი“. ბერლინის „ჰერტა“, რომელმაც თავის დროზე უეფას თასზე თბილისის „დინამო“ დაამარცხა, ქვედა დივიზიონში შეიდწლიანი ყურყუტის შემდეგ აღზევდა ბუნდესლიგაში. გერმანიის 1996 წლის თასის მფლობელი „კაიზერსლაუტერნი“ ერთწლიანი განშორების შემდეგ დაბრუნდა. აი, უსახელო „ვოლფსბურგი“ კი, რომლის სპონსორობა ამ დღეებში ცნობილმა საავტომობილო ფირმამ „ფოლკსვაგენმა“ ითავა, საერთოდ პირველადაა ბუნდესლიგაში. სამეფო გუნდი შარშან მეორე ბუნდესლიგის ბინადარი იყო, მაგრამ პირველივე თამაშებმა ცხადყო, რომ მათ ლიდერთა შორის დამკვიდრება ძალუძთ. თავად განსაჯეთ: „კაიზერსლაუტერნმა“ სტუმრად ქვეყნის ჩემპიონი „ბაიერნი“ დაამარცხა, ვოლფსბურგმა — „ჰანზა“, „ჰერტამ“ კი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულთან ფრედ ითამაშა. „დებიუტანტების“ ქება რომ არ გამიგრძელდეს, ბუნდესლიგის პირველი ტურის მატჩების მოკლე მიმოხილვას შემოვთავაზებთ ერთი შეხვედრის (შალკე-04 — ლევერკუზენი) გამაკლებით, რადგან ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე თბილისის „დინამოს“ მეტოქის პირველი შეხვედრის დაწვრილებით გარჩევა წინა „სარბიელში“ შემოგთავაზეთ.

REUTERS მიუნხენიდან

ბუნდესლიგაში დაბრუნებული „კაიზერი“ ჩემპიონთან მოგებას ზეიმობს

ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებს შორის ჩემპიონატი ყველაზე ადრე გერმანიამ და საფრანგეთმა დაიწყეს. ამჯერად ბუნდესლიგაზე მოგითხრობთ.

შიც მცველმა იევაჟკაცა. საუბარია „ბარსელონადან“ საშობაოდ დაბრუნებულ ლორან ბლანზე, რომელმაც ჯერ იყო და გრაველინის წაქცევისთვის დანიშნული პენალტიდან გაიყვანა, მერე კი დაწინაურა კიდეც მასპინძლები. მიუხედავად მარსელის გუნდის ახალი კაპიტნის ამგვარი დებიუტისა, მან ხალხს მოუწოდა, არ აჩქარებულიყვნენ და კლუბი ბობოლა გუნდებისთვის, თუნდაც იგივე „ბარსელონასთვის“, არ შეედარებინათ: „ამ ეტაპზე ჩემი ახლანდელი და ყოფილი კლუბის შედარება არ შეიძლება. „ბარსელონა“ სულ სხვა განზომილებაა, მაგრამ მწამს, საფრანგეთში „მარსელი“ ერთადერთი კლუბია, ვისაც შესწევს უნარი, დიადი გუნდი გახდეს.“ ბლანის დარად გამარჯვებულთა მწვრთნელმა როლან კურბისმაც განაცხადა, დიდებამდე ბევრი გვაკლია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს ევროპაში ჩვენს სიტყვას ვიტყვით, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქი არ დაგვინდობსო.

„მარსელის“ შემდეგ ევროთასის მომგებ მეორე ფრანგულ გუნდს, დედაქალაქის პსჟ-ს დებიუტანტი „შატორუს“ დამარცხება დიდად არ გასჭირვებია. მასპინძელთა შემადგენლობაში შესანიშნავად ითამაშა მარკო სიმონემ, ვინც პარიზელთა სარეკორდო შენაძენია. სწორედ სიმონეს პასით იხეირა მორისმა პირველი გოლისას. იტალიელი ფურნიეს გოლშიც მონაწილეობდა, თუმცა, საგოლე პასი არ ეკუთვნება. არაფერი გეთქვამს ლეონარდოზე, რომელიც მარცხია გოლებში არ მონაწილეობდა, მაგრამ გუნდის წარმატებაში უდიდესი წვლილი დადო. სწორედ ამ ორზე თქვა ვინსენ გერენმა — რომ არა სიმონე და ლეონარდო, ჩვენ, შესაძლოა, ფრე გვეთამაშაო.

უდაოდ საინტერესო მატჩი გაიმართა ბორდოში, სადაც უეფას თასის 1996 წლის ფინალისტმა „ბორდომ“ ჩემპიონი „მონაკო“ სძლია. სეზონის წინ საფრანგეთის არაფრანგი ჩემპიონი გუნდის კულისებში უსიამოვნო ამბები დაატრიალა ჟან ტიგანამ, რომელიც ერთობ აღაშფოთა უმრავი ფეხბურთელის გაყიდვამ. ერთი ხანობა ევროპის 1984 წლის ჩემპიონი იმუქრებოდა კიდეც გუნდიდან წამოსვლით, მაგრამ, ეტყობა, გადაიფიქრა, მისმა დებოშმა კი რა შედეგი გამოიღო, თავადაც ხედავთ. მატჩის მერე მასპინძელთა გახარებული მწვრთნელი გი სტეფანი ამბობდა, გამარჯვებას ნაღდად ვიმსახურებდით, აკი მოვიგეთ კიდეცო: „სეზონი შესანიშნავად დავიწყეთ. იმედია, ასევე გავასრულებთ.“

არავინ ელოდა „ლანსთან“ ქვეყნის 1995 წლის ჩემპიონის და თასის მფლობელი „ოსერის“ გამანადგურებულ მარცხს. მათ ყუროდა „ჰერტას“, მაგრამ არც ყაიმმა დასწყვიტა მინდამინც გული. მით უმეტეს, რომ ისინი შეხვედრას აგებდნენ მას შემდეგ, რაც რიკენის დაახლოებით 15 მეტრიდან დარტყმული ერთ-ერთ მასპინძელს მოხვდა და კარში რიკოშეტით შეევარდა. გოლმა „ჰერტა“ გააგიჟა და კლოსის კარში ერთზე მეტი ბურთი რომ არ გავიდა, დორტმუნდელები მეკარეს უნდა უმადლოდნენ. მატჩის შემდეგ ბუნდესლიგის დებიუტანტმა მწვრთნელმა, იტალიელმა ნევიო სკალამ განაცხადა, გერმანული ფეხბურთის სიძლიერეში დავრწმუნდიო. მოგეხსენებით დასძინა, იტალიაში აღიარებულ ლიდერს დებიუტანტი ისე ვერ ეთამაშება, როგორც გერმანიაშიო.

დანარჩენი მატჩებიდან კი აღსანიშნავია „შტუტგარტი“ — „მიუნხენ 1860“-ის შეხვედრა, რომელშიც მასპინძლებმა შესანიშნავად ითამაშეს, მიუხედავად იმისა, რომ მე-40 წუთიდან მარკო ჰაბერის გაძევების შემდეგ ათნი დარჩნენ. მასპინძლები დაწინაურა ბულგარელმა ბალაკოვმა, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა ჯვარიმა, მაგრამ 88-ე წუთზე დაცვა მაინც შეცდა და სტუმრებს შინ ქულა გაატანა.

ლაშა გოდუაძე

მეორე ბუნდესლიგა

მე-2 ტური. კიკერსი — კარლ ცაისი 2:1; ვატენშაიდი — აინტრახტი 0:1; დიუსელდორფი — ურდინგენი 1:1; ფორტუნა — მეპენი 2:2; ცვიკაუ — უნტერჰახინგი 0:1; მაინცი — ფიურტი 4:1; ზანქტ პაული — გიუტერსლო 0:0; კოტბუსი — ლაიფციგი 1:1. ნიურნბერგი — ფრაიბურგი ნუხელ გაიმართა

უნტერჰახინგი	2	2	0	0	7:2	6
აინტრახტი	2	2	0	0	4:2	6
გიუტერსლო	2	1	1	0	4:2	4
ლაიფციგი	2	1	1	0	4:2	4
ურდინგენი	2	1	1	0	3:1	4
მეპენი	2	1	1	0	4:3	4
მაინცი	2	1	0	1	6:4	3
ფრაიბურგი	1	1	0	0	2:0	3
კიკერსი	2	1	0	1	3:4	3
ზანქტ პაული	2	0	2	0	0:0	2
დიუსელდორფი	2	0	1	1	3:4	1
კარლ ცაისი	2	0	1	1	2:3	1
ვატენშაიდი	2	0	1	1	1:2	1
ფორტუნა	2	0	1	1	2:4	1
კოტბუსი	2	0	1	1	1:3	1
ფიურტი	2	0	1	1	1:4	1
ნიურნბერგი	1	0	0	1	2:4	0
ცვიკაუ	2	0	0	2	1:6	0

რუსეთი

21-ე ტური. ალანია — არსენალი 1:1; სპარტაკი — ტიუმენი 2:0, როტორი — ზენიტი 3:0, დინამო — ბალტიკა 1:1, ნიჟეგოროდი — ლოკომოტივი 1:3, ლოკომოტივი — ჩერნომორეცი 0:0, ვლადიკავკაზი — ცსკა 2:3, შინიკი — კამაზი 1:0, ფაკელი — როსტსელმაში 0:0.

სპარტაკი	20	12	5	3	32:13	41
როტორი	21	12	4	5	39:20	40
დინამო	20	10	7	3	23:11	37
ლოკომოტივი	21	8	9	4	26:19	33
ჩერნომორეცი	21	8	8	5	23:20	32
ტორპედო	20	9	4	7	31:24	31
ალანია	21	9	3	9	34:24	30
ბალტიკა	21	6	12	3	22:15	30
ვლადიკავკაზი	21	8	5	8	21:24	29
როსტსელმაში	20	6	10	4	19:15	28
კრილია	20	7	6	7	15:17	27
ზენიტი	21	6	8	7	11:18	26
შინიკი	21	6	8	7	18:26	26
ცსკა	21	6	5	10	18:29	23
ტიუმენი	21	5	5	11	16:26	20
კამაზი	21	6	1	14	24:44	19
ნ. ნოვგოროდი	20	5	3	12	14:29	18
ფაკელი	21	4	3	14	12:25	15

შვეიცარია

მე-6 ტური. ციურიხი — კრინსი 1:0; კარუჟი — ქსამაქსი 0:4; არაუ — გრასჰოპერი 0:2; ბაზელი — სიონი 1:3; ლოზანა — სენტ გალენი 3:0; ლუცერნი — სერვეტი 0:0

ლოზანა	5	3	2	0	12:3	11
სერვეტი	5	3	2	0	10:6	11
ციურიხი	6	3	2	1	7:6	11
სიონი	6	2	4	0	9:6	10
გრასჰოპერი	5	2	2	1	14:8	8
სენტ გალენი	6	2	2	2	10:10	8
კრინსი	5	2	1	2	4:4	7
ქსამაქსი	6	2	0	4	8:13	6
არაუ	5	1	2	2	6:6	5
ლუცერნი	6	1	2	3	4:7	5
კარუჟი	6	0	3	3	4:12	3
ბაზელი	5	0	2	3	2:9	2

ავსტრია

მე-6 ტური. ზალცბურგი — შტურმი 1:2; აუსტრია — ტიროლი 0:4; გრაცერი — რიდი 3:0; ლინცერი — რაპიდი 2:0; ლუშტენაუ — ადმირა 5:0

შტურმი	6	4	2	0	15:4	14
გრაცერი	6	4	1	1	14:6	13
ლუშტენაუ	6	2	3	1	10:5	9
აუსტრია	6	2	3	1	5:4	9
ლინცერი	6	2	1	3	5:10	7
ადმირა	6	2	1	3	5:13	7
ტიროლი	6	2	0	4	10:11	6
რაპიდი	6	1	3	2	6:10	6
რიდი	6	1	3	2	5:10	6
ზალცბურგი	6	1	1	4	7:9	4

ნორვეგია

მე-18 ტური: ბრანი — მოლდე 0:4, ბაუგესუნდი — ვიკინგი 1:0, კონგსვინგერი — ბოდო გლიმტი 0:0, ლილესტრიომი — სკეიდი 2:2, ლინი — სტაბეკი 0:1, სოგნდალი — რუსენბორგი 0:7. ტრომსო — სტრომსგოდსეტი 1:1

რუსენბორგი	18	12	5	1	54:11	41
მოლდე	18	11	3	4	30:22	36
სტრომსგოდ.	18	10	1	7	33:31	31
ბრანი	18	9	3	6	34:24	30
სტაბეკი	17	9	3	5	22:19	30
ვიკინგი	18	7	7	4	33:22	28
ბოდო გლიმტი	18	7	3	8	27:24	24
ტრომსო	18	5	8	5	23:24	23
კონგსვინგერი	17	6	5	6	24:27	23
ბაუგესუნდი	18	6	3	9	18:24	21
ლილესტრიომი	18	6	3	9	24:33	21
სოგნდალი	18	4	3	11	19:43	15
სკეიდი	18	3	4	11	25:45	13
ლინი	18	2	5	11	18:35	11

შვედეთი

მე-16 ტური: აიკი — ოსტერი 2:2, დეგერფორსი — ტრელებორგი 1:0, ელფსბორგი — ორებრო 2:1, ჰალმშტადი — გიოტებორგი 6:0, მალმიო — ჰელსინგბორგი 4:2, ნორჩიოპინგი — ვასტერასი 4:0, ორგრიტე — ლიუნგსკილე 1:0

ჰელსინგბორგი	16	9	4	3	24:14	31
გიოტებორგი	16	9	4	3	32:24	31
ჰალმშტადი	15	10	0	5	32:20	30
ელფსბორგი	16	9	2	5	32:21	29
აიკი	16	7	5	4	28:16	26
მალმიო	16	6	7	3	29:20	25
ორებრო	16	7	4	5	29:22	25
ორგრიტე	16	7	4	5	19:20	25
ნორჩიოპინგი	16	5	4	7	18:19	19
ტრელებორგი	16	6	1	9	27:37	19
ოსტერი	16	2	8	6	18:27	14
დეგერფორსი	16	3	4	9	18:30	13
ლიუნგსკილე	16	3	2	11	20:36	11
ვასტერასი	15	2	3	10	13:31	9

საფრანგეთი

I ტური

ბორდო 1:0 მონაკო V
1:0 დასლანდესი (89)

ტულუზი 1:0 რენი V
1:0 არიბაჟი (90)

პსჟ 2:0 შატორუ V
1:0 მორისი (50), 2:0 ფურნიე (70)

ლანსი 3:0 ოსერი V
1:0 სილვესტრი (13 საკ. კარში), 2:0 ზიანი (25), 3:0 ვერელი (90)

გინგამი 3:1 კანი V
1:0, 2:0 რუშელი (18, 30 პ), 3:0 ტესფაუტი (44), 3:1 იენსენი (73)

მარსელი 3:1 ლე ავრი V
0:1 ორლავილი (20), 1:1, 2:1 ბლანი (51 პ, 56), 3:1 გრაველინი (60)

მონაკო 1:1 სტრასბური V
1:0 ბაჯიოკო (12), 1:1 დეკური (13)

ლიონი 0:1 მეცი V
0:1 ლუკიჩი (47)

ნანტი 0:1 ბასტია V
0:1 პერესი (59)

სატრანსფერო სეზონში ფრანგულმა გუნდებმა კარგად წაიმუშავეს და შემადგენლობებიც გადაახალისეს. ამაზე ადრეც გვითქვამს და ახლა თავს აღარ შეეგწყენთ, მაგრამ „ნანტმა“, სხვებისგან განსხვავებით, კვლავ დაკარგა ორი-სამი ლიდერი, რომელთა სხვა კლუბებში გადაბარგებასაც ჟან-კლოდ სიუდოს გუნდიდან წასვლა მოჰყვა. ამ მწვრთნელის გარეშე დარჩენილი „ნანტი“ კი ის აღარაა, რომლის თამაშითაც ბოლო წლებში ბევრი გულშემატკივარი მოიხიბლა. სეზონის დაწყების წინ „ნანტის“ თავკაცობა შეშობდა ჯერაც შეუდუღებელი გუნდის გამო. სწორედ ამ მიზეზით დათმეს მასპინძლებმა პირველივე ტურის მატჩი კორსიკელებთან — მცველის სებასტიან პერესის ერთადერთმა გოლმა „ბასტია“ პირველად ამარჯვა ნანტში. თავად გახარებულმა გოლის ავტორმა კი თქვა, ჩვენ ჩემპიონატს კარგად კი ვიწყებთ, მაგრამ მერე რაღაც გვემართება, იმედია, წელს ასე აღარ მოგვევაო.

„მარსელი“ — „ლე ავრის“ შეხვედრა-

იუბილე ყოველ კვირას

ზოგი ქვეყნის ჩემპიონატი ახლა იწყება, ზოგან კი ფეხბურთელები სექტემბრამდე არიან თავისუფალნი. შემოდგომის პირველ თვემდე „მოცლილი“ იტალიელები ან გაცილებით სუსტ თანამემამულეებს ეთამაშებიან ამხანაგურად, ანაც — ბობოლა უცხოელ კლუბებს. ამჯერად ამხანაგურ მატჩებზე გაიმბობთ.

„იუვენტუსის“ წელს საუკუნის ხდება და თითქმის ყოველ კვირა იუბილეს ზეიმობს — არადა, ნაღდ დაბადების დღემდე — 1 ნოემბრამდე — ჯერ კიდევ შორია. მანამდე ტურინელებმა იუბილეადმი მიძღვნილი მორიგი მატჩი ითამაშეს, ამჯერად თემურ ქეცბაიას „ნიუკასლთან“. მატჩი ტურინის ნაცვლად ჩეხენაში გაიმართა და მასპინძელთა გამარჯვებით 3:2 დასრულდა. ვარდისფერი მასაურებით მოთამაშე იტალიელები უკვე პირველ ნახევარში იგებდნენ 3:0 ჩარო ვერარას პირველ წუთზე და ფილიპო ინძაგის მე-2 და 34-ე წუთებზე შეგდებული გოლების წყალობით. მეორე ნახევარში სერია A-ს ჩემპიონები მოეშვნენ და შავმა ასპრილიამ ორჯერ იხარა — ერთხელ პენალტით 69-ზე, მეორედ — 82-ზე. მატჩის მერე ფილიპო ინძაგიმ განაცხადა, დიდებული შეგრძნებაა, ასეთი სახელოვანი გუნდის საუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავ მატჩში ორ გოლს რომ გაიტანო.

ჩემპიონთა თასის ფინალისტზე არანაკლებ ცნობილი, მაგრამ გასულ სეზონში ერთობ დაბეჩავებული „მილანი“, ახლა აღმასვლის გზას რომ ადგას, ბრაზილიის ქალაქ ბელუ ორიზონტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. მათ გარდა ბრაზილიაში „ბენფიკაც“ თამაშობს პირველ ტურში კაპელოს ბიჭები ვეას ორი გოლის წყალობით მასპინძელი ქალაქის გუნდ „ამერიკას“ კი უგებნენ, მაგრამ მაინც 2:2 ითამაშეს. „ბენფიკამ“ მოულოდნელად 1:4 წააგო „კრუზეიროსთან“. მეორე ტურში „მილანი“ „ატლეტიკო მინეიროს“, „ბენფიკა“ კი პარაგვაის „ოლიმპიას“ ეთამაშება.

თუმცა, სჯობს სამხრეთ ამერიკიდან ისევ ჩვენს კონტინენტს დავუბრუნდეთ. ერთობ გაძლიერებულმა „ლაციომ“ 3:2 დაამარცხა საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი“ ორი გოლი „იუვენტუსიდან“ დაბრუნებულმა ბოქშიჩმა შეაგდო, მის გოლებს შუა კი კაზირაგიშაც ზუსტად დაარტყა.

თასთა თასის ნახევარფინალისტმა „ფიორენტინა“ ლონდონის „ტოტენჰემს“ ესტუმრა და რუსი კანჩელსკისის და ბელგიელ-ბრაზილიელი ლუის ოლივეირას გოლების წყალობით 2:0 იმარჯვა.

„ნაპოლიმ“ ამხანაგური მატჩი „ლეჩესთან“ ითამაშა და 0:1 წააგო, „პიაჩენცა“ კი სერია B-ში მოთამაშე „ჯერონასთან“ ვერას გახდა — 1:2.

იტალიელთა გარდა ამხანაგური მატჩისთვის ჰოლანდიის „აიაქსმაც“ მოიცალა — თავისი მეტოქის, ბელგიური „ბრიუგეს“ სამწუხაროდ. ჰოლანდიელებმა პორტუგალიელი დანის ორი, ჰუქსტრას და ტობიასენის გოლებით 4:1 იმარჯვეს მომავალ ამხანაგურ მატჩს შოთა არველაძის „აიაქსი“ 10 აგვისტოს ესპანეთის ჩემპიონ მადრიდის „რეალთან“ ითამაშებს „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

გიგა ქოგაბაძე

„მანჩესტერი“ მეთხუთმეტედ

ინგლისის სუპერთასი

მანჩესტერი 1:1 (4:2) ჩელსი

იუნაიტედი: შმაიხელი, ირვინი, პალისტერი, იონსენი, ფ. ნევილი, სქოულზი, კინი, ბათი, გიგზი (ბექჰემი 72), შერინგემი (კრუიფი 71), კოული

ჩელსი: დე გუი, კლარკი, ლებეფი, გრევილი, მორისი (პეტრესკუ 46), სინკლერი, პოიეტი, უაიზი, დი მატეო, ძოლა, ჰიუზი (ვიალი 76)

გოლი: 0:1 ჰიუზი (52), 1:1 იონსენი (57)

კვირა დღეს მთელი ინგლისი სულმოუთქმელად ელოდა. მიზეზი? ცხადია, ფეხბურთი! ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ახალი სეზონი „ჩერითი შილდისთვის“, იგივე სუპართასისთვის მოცილე გუნდებს უნდა აეხსნათ. მატჩი ბევრი რამით იყო საინტერესო. სხვა თუ არაფერი, არაერთ უცნოელს უნდა ეთამაშა „უემბლიზე“. თამაში ბრიტანულ ამინდში წარიმართა და სანამ მასზე რამეს ვიტყოდეთ, მატჩამდე სიტუაციას შევავლოთ თვალი.

„უემბლის“ მიმდებარე ტერიტორია შეხვედრის დაწყებამდე სამი საათით ადრე ავსებულა. პირველად ლონდონელთა თეთრცისფრად სახეშეღებილი ფანები გამოჩნდნენ, რომლებმაც წელს, გაზაფხულზე „ჩელსიზე“ დაწერილი სიმღერით გააყრუეს იქაურობა. სანამ დედაქალაქელები ანცობდნენ, მანჩესტერელებიც გრვდებოდნენ და, თამაშამდე ცოტა ხნით ადრე მეტოქე გულშემატკივართა „ძალები“ თითქმის გათანაბრდა. „უემბლი“ პირთამდე გაიავსო. დიდი სეირის დაწყებას მსაჯის ჩასტვენაღა აკლდა.

პირველი ნახევრის მიწურულმა ნათელი გახადა, რომ ფორმის პიკისკენ მიმავალ გუნდებს დღესდღეობით ლამაზი და თვალწარმტაცი ფეხბურთის ჩვენება არ ძალუძთ. ისიც არ ითქმის, მთლად ზანტი და უინტერესო თამაში იყოო, რადგან იმ საბოფათო მომენტების დაუნახობა არ იქნება, რომლებსაც მეტოქეები ერთურთის კართან დროგამოშვებით ქმნიდნენ. თავიდან უპირატესობას პრემიერლიგის ჩემპიონები ფლობდნენ. მარტო ის რად ღირს, რომ გიგანტი შმაიხელი თამაშში პირველად ნახევარი საათის მერე ჩაერთო, მისი კოლეგა ედი დე გუი კი, „ჩელსიში“ პირველ ოფიციალურ მატჩს რომ ატარებდა, საკმაო ოფლს ღვრიდა. პირველად ექს-ფეიენოორდელი ექს-ტოტენჰემელ ტედი შერინგემს დაუხვდა მაგრად, როცა ამის თაური მოიცვრია, მერე არც სქოულზის შეშინებია. უნდა ითქვას, რომ სქოულზი საფრანგეთის ოთხთა ტურნირის შემდეგ პირველად თამაშობდა და ხანგრძლივი შესვენების კვალობაზე ურიგოდ არ ირჯებოდა. „ჩელსიმ“, შეტევებს რომ გაუძლო, ბურთის ცენტრში დაჭერა სცადა, კარგა ხანს მოახერხა კიდეც, მაგრამ შეტევას თავი ვერა და ვერ მოაბა. ჩელსელთაგან ყველაზე საზიფათო მომენტი ძოლამ შექმნა მე-19 წუთზე. მაგრამ ის-ის იყო, ფეხბურთელს უნდა დაერტყა, რომ წინ კლდესავით აღემართა ახოვანი პალისტერი და ლონდონელთა პირველ ტაიმში განხორციელებული ყველაზე სახიფათო შეტევა ჩაშალა. ამსიოპაში „იუნაიტედმა“ წინ წაიწია, მაგრამ კარში ვერაფრით შეაღწია, ის კი არა, დაცვას დროულად ვერ მიხედა და შმაიხელი

მანჩესტერელები მოგებას შმაიხელს უმადლიან

AP ლონდონიდან

მანჩესტერელებმა საქმის გართულებას ხუთ წუთში ანგარიშის გაყაიმება ამჯობინეს, თან ჩელსელთა მსგავსად — კუთხურიდან: ჰიუზის თანამემამულემ, იმ დღეს მისმა მეტოქემ რაიან გიგზმა კუთხურიდან ბურთი დე გუის კარის ახლო ძელთან ჩაჰკიდა, იქ კი რონი იონსენმა ფრანგ ლებეფს აჯობა და კლუბის შემდგენლობაში ზედიზედ 42 უგოლო თამაშის უღირსო სერია შეწყვიტა — დე გუი ბურთს ბადეშიღა წაეპოტინა.

დარჩენილ დროში თამაში უინტერესო იყო. მაყურებლებმა ერთადერთხელ შემოჰკრეს ტაში, როცა ფერგიუსონმა მოედანზე ბექემი შეუშვა, თუმცა დევიდს დიდად არ გამოუჩენია თავი, რამაც ფერგიუსონს მატჩის მერე ათქმევინა, არაა გამორიცხული, იგი ორი-სამი კვირა არ ვათამაშოო.

მსაჯის სასტვენმა წვიმისგან გალუმპულ ფეხბურთელებს დროზე მიუსწრო და მათი ცოდვილობა დაასრულა. თასის მფლობელის ვინაობის გამოსავლენად პენალტების სერია დაინიშნა, აქ კი ჩელსელთაგან დი მატეო და პოიეტმა ვერ ივარგეს და „ჩერითი შილდი“ ისტორიაში მეთხუთმეტედ და ზედიზედ მეორედ ფერგიუსონის გუნდს დარჩა. საპატიო ჯილდო ჩაიბარა მანჩესტერელთა ახალგამომცხვარმა კაპიტანმა როი კინმა, რომელმაც განაცხადა: „ჩემთვის დიდი პატივია ერიკისგან კაპიტნობის ჩაბარება. კანტონაზე ბევრი თქმულა. იგი მანჩესტერში მუდამ ეყვარებათ, მაგრამ კლუბის ისტორია მისით არ დაწყებულა და არც დამთავრდება. „იუნაიტედი“ მუდამ იცოცხლებს, მე კი, როგორც მის კაპიტანს, იმედი მაქვს, ამ ჯილდოს კიდევ ბევრი თასი შეემატება“.

ახლა კი იმის შესახებ, რა ითქვა პრესკონფერენციაზე. თავდაპირველად მიკროფონი ძლეულთა თაკკამა, ერთობ შესუქებულმა რუუდ გულიტმა მოიხელთა და პირველი, რაც განაცხადა, ეს იყო — ამ თამაშით ჩემი კლუბის შესაძლებლობებს ნუ განსჯითო. დამარცხებაზე ვწუხვარო, „ჩერითი შილდისთვის“ გუნდები ასე არ უნდა თამაშობდნენო, არც ერთს თასი არ ეკუთვნოდაო — ვიშვიშებდა რუუდი და თითქმის თხუთმეტწუთიანი გამოსვლა ასე დაამთავრა: „ეს იყო ცუდი პასების, უაზრო ჯარამების და ფეხბურთელთა ზარმაცობის ზეიმი“.

შემდეგ ბრიტანეთში უძლიერეს მწვრთნელად აღიარებული ფერგიუსონის ჯერი დადგა: „მართლაც, არ იყო მოსაწონი თამაში, მაგრამ, ვგონებ, ამის მიზეზი ფეხბურთელთა ზარმაცობა კი არა, თითქმის სამთვიანი შესვენებაა. ძნელია, თავიდანვე ძლიერად ითამაშო, ფორმაში შესვლას დაახლოებით თვე სჭირდება, ხოლო თუ მერეც ვერ ათამაშდა გუნდი, მიზეზი დასვენება კი არა, სულ სხვა რამ ყოფილა. რაც შეეხება ბექემს, მისით უკმაყოფილო ვარ. არ მინდა დავიჯერო, მაგრამ ვგრძნობ, ამ ბიჭს ვარსკვლავების სენი შეეყარა, არადა, ჯერ ისეთი არაფერი გაუკეთებია. შესაძლოა, მის მიმართ მკაცრი ზომების გამოყენება დამჭირდეს. ერთ კვირაში პრემიერლიგა იწყება, ასე კი შორს ვერ წავალთ“.

ერთი სიტყვით, სეზონის პირველი შეხვედრა ნამდვილად ვერ გამოდგა ისეთი, როგორსაც ელოდნენ, პრემიერლიგის დაწყებამდე კი ხუთი დღეღა დარჩა!

ლაგა გოდუაძე

ფეხბურთის რუკასთან

შვედეთში უდიდესი ტრანსფერი განხორციელდა: „გიოტებორგმა“ „ჰალმშტადიდან“ 748 ათას დოლარად რობერტ ანდერსონი შეიძინა. შვედეთში შვედ ფეხბურთელში ამდენი ჯერ არასდროს გადაუხდიათ. რობერტი პირველ მატჩს ახალ კლუბში 10 აგვისტოს „ვასტერასის“ წინააღმდეგ ითამაშებს.

საფრანგეთში ჟურნალ „დე დიმანშმა“ მომავალი წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესახებ გამოკითხვა ჩაატარა. გამოკითხულთა 80 პროცენტი დარწმუნებულია, რომ ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები იქნება. სანაკრებო ხუთ საუკეთესო ფეხბურთელში მოხვდნენ ჟინოლა, პაპენი, ბარტეზი, ჯორკაეფი და ზიდანი. საინტერესოა, რომ გულშემატკივართა დასახელებულ იდეალურ ნაკრებში თითქმის მუდმივად ხვდებოდა ჯორკაეფი.

ესპანეთის „ბარსელონა“ სულ გადაირია — 19 წლის დენილსონში 24 მილიონი დოლარის გადახდას აპირებს და თან მზადაა, მისი დათმობის შემთხვევაში „სან პაულუს“ 12 მილიონ დოლარად შეფასებული ჯოვანიც მისცეს. ნაკრებში ათჯერ ნათამაშევმა და წელს „კოპა ამერიკაზე“ გამარჯვებულმა დენილსონმა ესპანელთა ყურადღება საფრანგეთის ოთხთა ტურნირის დროს მიიქცია. ცნობილი გახდა, რომ „ბარსელონასთან“ კონტრაქტის შემთხვევაში დენილსონი 5 მილიონ დოლარს მიიღებს.

ალბანეთში წლის დასაწყისში მომხდარი არეულობების გამო ჩაშლილი ჩემპიონატი მხოლოდ ახლახანს განახლდა, მას შემდეგ, რაც მთავრობამ გუნდებს უსაფრთხოების გარანტია მისცა. ამ ჩემპიონატის დარჩენილი ხუთი ტურის თამაშები ჯერჯერობით მხოლოდ ოთხ ქალაქში — ტირანაში, კევში, დურესსა და ელბასანში გაიმართება.

იაპონიაში „ჯეი-ლიგის“ ჩემპიონატის მეორე ეტაპი დაიწყო. პირველი სტადიის გამარჯვებულმა „კაშიმა ანტლერსმა“ ზედიზედ ორ ტურში იძალა და ჯერ „იოკოჰამა ფლუგელსი“ სძლია, მერე — „ვისელ კობი“. ამჟამად „კაშიმა“ დაუმარცხებელია სტუმრად ნათამაშევ 10 მატჩში. შაბათს გამართულ შეხვედრებში ექს-ბარსელონელმა ჩიკი ბეგირისტაინმა იაპონიაში პირველი გოლი შეაგდო. მისმა „ურავა რედ დიამონდსმა“ „იოკოჰამა მარინოსი“ დაამარცხა 2:0. „ჯეი-ლიგის“ ბომბარდირმა, ბრაზილიელმა ედილსონმა „შიმიცუს“ 3:2 დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანა, ერთი გოლიც შეაგდო და თავის „კაშივას“ სამი ქულა მოუტანა.

იტალიელმა პაოლო დი კანიომ, „სელტიკის“ ლიდერმა, ერთობ მოხიბლა ინგლისელები. ფეხბურთელის აგენტის მორენო როჯის თქმით, პაოლოთი „შეფიცდ უენსდეი“ დაინტერესებულა და არაა გამორიცხული, შოტლანდიის გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელმა შუა სეზონიდან პრემიერლიგაში დაიწყოს თამაში.

ინგლისის ნაკრების ფეხმოტეხილმა კაპიტანმა ალან შირერმა, რომელიც ახლა საავადმყოფოში წევს, ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა და განაცხადა, ეხლა კი ვმკურნალობ, მაგრამ საკუთარ თავს პირობა მივეცი, წელს „ნიუკასლთან“ ერთად პრემიერლიგა მოვიგო და მსოფლიოს ჩემპიონატზე საუკეთესო ბომბარდირი გავხდეო.

ჟოტლანდიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა პატ ნევინმა სიბერის ჟამს სამშობლოში თამაში ირჩია და ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „ტრანმერიდან“ სქოთთა თასის მფლობელ „კილმარნოკში“ გადაბარგდა. მან ქვეყნის ჩემპიონატის პირველ ტურშიც ითამაშა. „აბერდინთან“ მატჩი ფრედ — 0:0 დასრულდა.

ზამბიის ნაკრების ფორვარდმა ფრაზიერ კამვანდიმ მოზამბიკთან შეხვედრისას კარში ორჯერ ზუსტად დარტყა და თავისიანებს 2:1 მოაგებინა, რითაც „კოსაკა კასელის“ თასის გათამაშებაში თავისიანების გამარჯვების შანსები გაზარდა.

ნიგერიის ქალაქ ვარში ქვეყნის თასის გათამაშების ერთ-ერთი ტატჩის დროს მსაჯნძელთა გუნდის გულშემატკივრებმა მსაჯის გადაყვეტილების აღშფოთებულებმა დაამტვრიეს და ტრიბუნებზე ცეცხლი დაანთეს. მოგვიანებით მათ დასაშოშმინებლად მისულ პოლიციელებს თვალი რომ ჰკიდეს, სროლაც ატეხეს და ერთი თავისიანი სიცოცხლეს გამოასალმეს.

კოლონიეთის სუპერთასი მოიგო ქვეყნის ჩემპიონმა, ვარშავის „ლეგიამ“. კვირას გამართულ მატჩში მან ზიგბოს და სოკოლოვსკის გოლების წყალობით 2:1 სძლია ლობთს „ვიძეი“. დამარცხებულთა ერთადერთი გოლი იაცეკ დემბინსკიმ შეაგდო.

გულგარეთის პირველი ტური: სლავია — სპარტაკი (პლევენი) 3:0, ცსკა — ეტარი 5:1, ლიტექსი — შინიორი 2:0, სპარტაკი (ვარნა) — ბოტევი 4:0, ლოკომოტივი (პლოვდივი) — დობრუჯა 2:0, მეტალურგი — ოლიმპიკი 2:0, ნეფთოხიმიკი — ლოკომოტივი (სოფია) 4:1, ლევსკი (კიუსტენდილი) — ლევსკი (სოფია) 1:3.

ჩეხეთის პირველი ტური: სპარტა — ვიქტორია (პლზენი) 2:1, ბოში — ლაჟნე 3:0, ჰრადეცი — ჩესკე ბუდეოვიცი 1:1, ბანიკი — დუკლა 1:0, იაბლონეცი — ვიქტორია (ჟიჟკოვი) 1:1, კაუჩუკი — სლოვანი (ლიბერეცი) 1:1, პეტრა — სლავია 0:0.

სლოვენიის პირველი ტური: ვეჩე — რუდარი 1:0, ბელტინჩი — პრიმორიე 1:2, კოროტანი — მარიბორი 1:0, გორიცა — მურა 2:1, პუბლიკუმი — ოლიმპია 2:0.

სლოვაკეთის პირველი ტური: ხემლონი — სლოვანი 1:5, რუზომბეროკი — ბარდეიოვი 1:2, ტაურისი — ტრენჩინი 1:1, ჟილინა — ლოკომოტივა 2:0, კოშიცე — პეტრომექსი 5:0, ინტერი — დუნაისკა სტრედა 5:1, ტატრანი — არტმედია 2:0, სპარტაკ ტრნავა — დუკლა ბანსკა ბისტრიცა 5:2.

თურქეთის პირველი ტური: ანკარაგიუჯუ — გალათასარაი 0:0, გენჩლერბირლიგი — ანთალია 0:0, ფენერბაჰჩე — გაზიანთეფი 1:0, ჭოჯაელი — ტრაბზონი 1:3, სამსუნი — ვანსფორი 2:0, ბეშიქთაში — შექერსფორი 2:1, ქარაბუქი — ქაისერი 3:0, დარდანელი — ისთანბული 1:1, ბურსა — ალთაი 1:0.

რუსეთში ერთი ამბავი რომ ატყდა სოჭის „ჟემჩუჟინასა“ და ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის“ შეხვედრის თაობაზე, უკვე გაცნობეთ. ეს უკანასკნელნი ჩიოდნენ, მასპინძლებმა მსაჯი მოქრთამესო. გუშინ რუსეთის ფეხბურთის კავშირის სადისციპლინო კომისიის საგანგებო სხდომამ მოძიებული ფაქტების ხუთსაათიანი შესწავლა-გაანალიზების მერე სოჭელები უდანაშაულოდ ცნო.

გერმანიის ნაკრების ლიბერო, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული მათიას ზამერი, ბუნდესლიგის პირველ ტურში „ჰერტასთან“ მატჩში მძიმედ დამავებულა, მუხლი დაუზიანებია და ექიმების დასკვნით, სამი კვირა ვერ ითამაშებს. დორტმუნდის „ბორუსიის“ 29 წლის მცველი 20 აგვისტოს გამოტოვებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ჩრდილოირლანდიელების წინააღმდეგ.

ჟოტლანდიის პირველი ტური: აბერდინი — კილმარნოკი 0:0, დანფერმლაინი — მოზერველი 0:2, სენტ ჯონსტონი — დანდი იუნაიტედი 1:1, ჰიბერნიანი — სელტიკი 2:1. გლაზგო რეინჯერსი — ჰართსი წუხელ გაიმართა.

ჯერსის სასამართლოში ქინქლაძე დაკითხეს!

დასაწყისი პირველ გვერდზე

გიოს თავი გაანებეო

სანამ სასამართლოში გამოიძახებდნენ, მანამდე, 20 მარტს ქინქლაძეს წერილობითი ჩვენება ჩამოართვეს. გიომ ქართულად შეავსო. არ ვიცი, ამგვარი საბუთების გამოქვეყნება რამდენად კანონიერია, მაგრამ გიოს ნებართვით ჩვენს მკითხველს მაინც წარვუდგენ:

„1997 წლის 23 თებერვალს „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელები დასასვენებლად კუნძულ ჯერსიზე გავემგზავრეთ. ვიყავით 16 თუ 18 კაცი. ვცხოვრობდით „სენტ ჰელიოუს გრანდ ოტელში“.

ორშაბათს, 24 თებერვალს, საღამოს რვის ნახევარზე წვეულებაზე ერთ-ერთ ბარში. იქ დახურვამდე ვიყავით, რის შემდეგაც ათმა ფეხბურთელმა, მათ შორის მეც, გადავინაცვლეთ ბარ „ჩამბერსში“. მოგვიანებით გადავედით „ო“ ბარში. იქ შესვლისთანავე, ვინაიდან უკვე ძალიან დაღლილი ვიყავი, თავი ბარის დახლზე ჩამოვდე. ჩვენთან ერთად იყო პიტერ ბიგრიც. უცებ ვიგრძენი, რომ ვიღაცა თავზე ხელს მისმევდა. ავიხედე და დავინახე უცხო გოგო, მაგრამ, ვიმეორებ, ძალიან დაღლილი ვიყავი (უკვე დილის ოთხი საათი იყო), ლაპარაკის თავი არ მქონდა და თავი ისევ დავხარე. რამდენიმე წუთში კვლავ ავიხედე და დავინახე, რომ პიტერი იმ გოგოს ეუბნებოდა — ამას თავი დაანებე, შენს მეგობარ ბიჭთან წადიო. მე როგორც მახსოვს, პიტერს იმ გოგონასთვის არ შეუფურთხებია.“

ეს ოცი მარტის ჩვენება იყო, პარასკევს კი მოსამართლემ პირველი ქინქლაძე და, შესაბამისად, მეც, გამოგვიძახა. ბიბლიაზე დაფიცების შემდეგ გიოს რამდენიმე შეკითხვა დაუსვეს. პასუხები იგივე იყო, რაც წერილობით ჩვენებაში. ბოლოს ეკვიანმა მოსამართლემ ქინქლაძეს ჰკითხა — კი მაგრამ, ინგლისური თუ არ იცი, თამაშისას როგორ უგებ პარტნიორებსო. ამ კითხვამ დარბაზში მყოფნი გაახალისა — ალბათ ყველა მათგანი იმას ფიქრობდა, რაც გიომ თქვა — ფეხბურთი ისეთი რამაა, უსიტყვოდაც ვუგებთ ერთმანეთსო. ისე, გიო ინგლისურად უკვე კარგად ლაპარაკობს, თუმცა სასამართლოს ენა მაინც სხვაა.

შეაფურთხა თუ არა?

ეს, ცხადია, სასამართლოს გადასაწყვეტია, „სარბიელის“ მკითხველებისთვის კი, ალბათ, არც თუ ისე საინტერესოა ამ კითხვაზე პასუხი. იმ დღეს პროცესმა საღამომდე გასტანა. დანარჩენ ფეხბურთელებსაც მოუხდათ ათასჯერ კითხვაზე პასუხის გაცემა. საბოლოოდ, გაანჩენის გამოტანა ორშაბათისთვის გადაიდო. ისე, თუ ვინმეს აინტერესებს, დამნაშევეა თუ არა ექს-სიტელი პიტერ ბიგრი, ხუთშაბათის ნომერში მოკლედ გაუწყებთ.

სანამ მე ლონდონის, სიტელები კი მანჩესტერის გზას დავადგებოდით, ფეხბურთელებთან და კლუბის ასისტენტმენეჯერ ალან ჰილთან ერთად ერთერთ ადგილობრივ რესტორანში ვიეახშმე. რესტორანი სასამართლო არაა და ამიტომ, იქ უფრო მეტ სიმართლეს გაიგებ კაცი. მოკლედ, არც ის ბიგრი ყოფილა ანგელოზი და არც ის მომჩივანი გოგო, ვინც სასამართლოში აღიარა, რომ თავადაც ხუთი ბოთლი „ბუდვაიზერი“ ჰქონდა მირთმეული. ფული უნდაო — ამბობენ. ისე, ხედავთ, „რა შეიძლება მოჰყვეს ქინქლაძის თავზე უნებართვოდ ხელის გადასმას?“ ეს ციტატა „ჯერზი ივნინგ ნიუსიდან“.

გიორგი ვაზაგაშვილი ტალანტია. ეს უდავო ჭეშმარიტებაა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ევროპის ორგზის ჩემპიონია, ტალანტად მოხსენიებულთ კი გამარჯვებები ჯერ კიდევ ენატრებათ. გიორგი უკვე ორჯერ იყო ევროპაში პირველი, მაგრამ იმდენად დიდი ნიჭი და ჯერაც გაუმჟღავნებელი შესაძლებლობებია მასში დაგროვებული, რომ მაინც ტალანტს უწოდებენ. ვაზაგაშვილის შესახებ ყველამ კარგად უწყის ჩვენშიც და უცხოეთშიც. გორელი ბიჭის ამ უჩვეულო ნიჭს და ოსტატობას კი იმავე უცხოელებმა, კონკრეტულობა და ყველაფრისთვის მეტსახელის დარქმევა რომ უყვართ, „ვაზაგაშვილის ფენომენი“ შეარქვეს. დიახაც, დაიმსახურა გიორგიმ ეს ეპითეტი — ერთადერთმა ევროპელმა, რომელმაც წონითი კატეგორიის გამოტოვებით 60 და 71 კილოგრამში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. ღმერთმა დაიფაროს და, გიორგი ვაზაგაშვილმა დღესვე რომ გაიხადოს კიმონო და ძიუდოს უგანოს, მაინც ლეგენდად შემორჩება ისტორიას, მაგრამ... წელს იგი ახალი გამარჯვებებისთვის ემზადება.

გორელი ბაში-აჩუკი

ჯღანა ჩემი მეგობარია, მაგრამ...

გიორგი ვაზაგაშვილს ერთი უცნაური „ჩვევა“ აქვს: დიდხანს ჭიდაობას „ვერ იტანს“ და უმრავლეს შემთხვევაში მეტოქეს, ჰა-ჰა, 1 და 2 წუთს ეჭიდავოს. ამ დროისთვის მის მოწინააღმდეგეს იპონი უკვე განაღდებული აქვს. ამასწინათ, საქართველოს ჩემპიონატზე ასპარეზობისას, გიორგი ვაზაგაშვილმა 4 შეხვედრის მოგებას 3 წუთი მოანდომა, როცა ძიუდოისტთა ერთი შეხვედრის დრო 5 წუთია. გიორგის, ალბათ, არ ეწყინება და, მისი ქომაგები ამასაც ამბობენ: ვინ, ვაზაგა? არა, ძმაო, ეგ არანორმალური კაცია. ბაში-აჩუკისა არ იყოს, მეტოქეს გამარჯობის თქმას არ აცლის...

ჩვენი საუბარიც ამ ამბით დაიწყო.

— გიორგი, იპონების ოსტატად გიცნობენ, მაინც როგორ ახერხებ ლამის ყველა ორთაბრძოლის ვადაზე ადრე დასრულებას?

— მე ტატამზე მოსაგებად გავდივარ. ყველამ თავისი საქმე იცის. თუ შეუძლია მეტოქეს, ახლოს ნუ მიმიშვებს, ან აქეთ შემომიტოს და მომიგოს. ვისაც ამის თავი არა აქვს, რა ვქნა, იმათთვის იპონი არ მუნდა.

— არ გეცოდება შენი მეტოქეები, ვთქვათ, 10-15 წამში იპონით რომ უგებ? ხომ იცი, მაინც დაჭაბნი, ცოტა ხანს მაინც ეჭიდავე და ბოლოს მოუგე.

— ამასწინათ, „შევარდენ“ — „ბულონის“ შეხვედრისას კორეელ იონ სუ იანს შევხვდი. მახსოვს, 20-25 წამი მიტრიალა, ცდილობდა, ახლოს მოსულიყო ჩემთან და ილეთი ჩაეტარებინა. ვერ მოახერხა. შემოვიწევე, შემოვიტყუე და ბოლოს ფეხიდან ავიყვანე, იპონით მოვუგე. სიმართლე გითხრა, შემეცოდა, მაგრამ სპორტი სპორტია — თუ არ იყოჩაღე და შანსი მიეცი, მოგიგებს და სდე მერე.

— ვიცი, მამაშენია შენი მწვრთნელი, შენს გარდა სხვა საბელოვანი ძიუდოისტები თუ გაუზრდია?

— მამაჩემი — მურაზ ვაზაგაშვილი ყოფილი ძიუდოისტია. დიდი სპორტსმენი არ ყოფილა, მაგრამ ძიუდოს საიდუმლოებანი ჩინებულად რომ იცის, ეს იმითაც დასტურდება, მე რომ გამზარდა. მამაჩემს ჩემს გარდა სხვასთან არ უმუშავია, რომ იტყვიან, თან ვადამყვა, მარტო მე მასწავლის, რაც იცის. იმიტომ კი არა, რომ თავისი ცოდნა სხვისთვის არ ემეტება, არა, მეტი დრო აღარ რჩება.

— არაერთხელ დაიწერა და ითქვა, თუნდაც „სარბიელში“, რომ დღესდღეობით საქართველოს 65 კილოში ორი უნიჭიერესი ძიუდოისტი ჰყავს — შენ და „ჯღანა“ — გიორგი რევაზიშვილი. საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი ნატრულობს, რომ ყველა წონაში ისეთი კონკურენცია იყოს, როგორიც 65 კილოშია, რა თქმა უნდა, სპორტის ყველა ჭართველი გულშემატკივრის ოცნებაც ეგ არის, მაგრამ ფაქტია, შესაძლოა, ნაკრებს ერთ-ერთი თქვენგანი გამოაყოლდეს, რადგან ერთ წონაში ორი კაცი ვერ იჭიდავებს. შენ როგორ ფიქრობ, არის გამოსავალი?

— მე ახლა 65 კილოში ვიჭიდავებ და გრამს არც დავიკლებ და არც მოვიმატებ. ამით არავის ვუპირისპირდები. კი, ბატონო, 60 კილოში მოვიგე ევროპის ჩემპიონატი, ერთხელ მეორე ვიყავი, წელს კი 71-ში გავხდი ევროპის ჩემპიონი, მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ჩემთვის ოპტიმალური ვარიანტი 65 კილოა. მჯერა, ატლანტის ოლიმპიადაზე წონა რომ არ დამეკლო და 65-ში მეჭიდავა, უმეტლოდ არ დავრჩებოდი. ამიტომ სამსოფლიოჩემპიონატოდ აღარ გავიმეორებ შარშანდელ შეცდომას და 65 კილოდან არსად წავალ.

— არც „ჯღანა“ აპირებს 65 კილოდან წასვლას. ფაქტია, ეს ურთიერთდაპირისპირებას იწვევს.

— ვინ იჭიდავებს 65-ში, არც გიორგის გადასწყვეტია და არც ჩემი. ამას ნაკრების ხელმძღვანელები მოუელიან. დაპირისპირება კი, ნაწილობრივ, ალბათ, არსებობს, მაგრამ მინდა ყველას შევახსენო, რომ მე და „ჯღანა“ ოდითგან მეგობრები ვართ. რომ იტყვიან, ერთად მოვედით სპორტში. რა დამავიწყებს იმ დროს — მე, „ჯღანამ“, ბექაურმა, ცოფურაშვილმა, ღვინიაშვილმა, ოძელაშვილმა, ქოჩიაშვილმა და სხვებმა 1990 წელს ანზორ კიკნაძის მემორიალზე მედლები რომ დავიკიდეთ. ჩვენ მაინც მეგობრებად დავრჩებით, მიუხედავად იმისა, რომ გასაყოფი მართლა გვაქვს — 65 კილოგრამი წონითი კატეგორია. თუმცა, პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატზე 65-ში მე ვიასპარეზებ, ეს უკვე გადაწყვეტილია. ძალიან გამიხარდება თუ „ჯღანა“ მოიებნის სათავისო წონას, წამოვა პარიზში და თავის სიტყვას იტყვის. სიტყვის თქმა და საქმის კეთება კი გიორგის არ ეშლება.

— კი ბატონო, რაკი ამოიჩემე და თანაც დაამტკიცე, რომ 65-ში ნაკრებში პირველი კაცი ხარ, მაშინ ისიც უნდა დაამტკიცო, რომ „ჯღანას“ მარტო პირადი ორთაბრძოლებით კი არ ჯაბნი, არამედ სხვა უცხოელ 65-იანელებზე ძლიერიც ხარ. შენ კი კარგა ხანია, ამ წონაში არ გიჭიდავია. ფაქტობრივად, საერთაშორისო ტურნირების გარდა, 65-ში არაფერი მოგიგია. რა იცი ამ წონაში მოასპარეზე უცხოელებზე.

— მართალია, 65-ში ბოლო ხანს არ მიჭიდავია, მაგრამ ტურნირებსა და ჩემპიონატებზე ყოველთვის ყურადღებით ვადევნებ თვალს ამ წონაში მოასპარეზეებს. ჩემი მთავარი მეტოქენი ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი გერმანელი კელმანცი და იაპონელი ნაკამურა არიან. არის კიდევ ერთი ფრანგი, რომელიც მათ ტოლს არ უდებს, მაგრამ, ეჭვი არ მეპარება, სამივეს ღირსეულ მეტოქეობას გაეუწევ. რა, 60 და 71 კილოში მათზე ნაკლებ ძიუდოისტებთან მიწევდა პაექრობა?

— საქართველოს ჩემპიონატის დასრულებისას ჟურნალისტებს განუცხადე — თუ სპორტის მესვეურნი ევროპის ჩემპიონობისთვის დაპირებულს და კეთილს არ მომცემენ, ჭომაგებს ბოდიშს მოვუხდი და საქართველოში აღარ ვიჭიდავებ, სულაც სხვა ქვეყანას მივაშურებო. ახლა რა ჭკუაზე ხარ?

— სპორტის დეპარტამენტმა შეპირებული 10 000 ლარი მომცა. მადლობის მეტი რა მეთქმის. კიდევ მეკუთვნის 7 000 ლარი, ოღონდ არა დეპარტამენტისგან. ფულში კი არ არის საქმე, უბრალოდ, კაცურ სიტყვას რომ იტყვი, უნდა შეასრულო. ამიტომაც ვიყავი გულგატეხილი. მე აქაური კაპკეები კი მირჩევნია სხვის მილიონებს, მაგრამ რაც გეკუთვნის, არ უნდა დაგამადლონ. თანაც, მაშინ რაც ვთქვი, ეს მარტო ჰონორარის დაგვიანების გამო არ მითქამს: კიდევ გასარკვევი იყო, პარიზში 65-ში ვიჭიდავებდი თუ არა. ახლა ეს პრობლემაც მომეხსნა და ჯერ არსად წასვლას არ ვაპირებ.

— მოდი, მოვრჩეთ პრობლემებზე საუბარს. ვინ მიგაჩნია ეტალონად ძიუდოში?

— აი, ეს კი არ არის ჩემთვის საჭიროკითხვა — კაცი-ლეგენდა, ძიუდოს გენია შოთა ჩოჩიშვილი. მეამაყება, რომ ბატონი შოთაც გორელია.

— წელიწად გორში შენს სახლს რომ ვეძებდი, რამდენიმე ადამიანს ვკითხე მისამართი. რატომღაც, ვინც შენი სახლი მომასწავლა, უმრავლესობა გოგონები იყვნენ და ყველამ იცოდა შენი საცხოვრებელი. ისიც გავიგე, ყველა გორული ოჯახის სასურველი სასიძოაო. არ აპირებ დაოჯახებას?

— როგორ არ ვაპირებ, მაგრამ ჯერ არა. 2 000 წლამდე ცოლს ნამდვილად არ მოვიყვან. სიდნეის ოლიმპიადაზე მარტოხელა ვიქნები, მერე ვნახოთ.

ლევან ჯავახიშვილი

ბარკლი უბრალოა



გასულ პარასკევს კლივლენდის სასამართლოს უდანაშაულოდ ცნო ჩარლზ ბარკლი, რომელსაც ერთ ჯერ ტაილერი უწიოდა.

ეს გახმაურებული საქმე კი შემდეგნაირად დაიწყო: ერთ თვის წინ ბარკლი და რეჯი მილერი ბარში ბანოვანის თანხლებით შევიდნენ. მათთან ტაილერი მივიდა და ქალს ჰკითხა, ამათთან წევხარო? ამ არაკორექტულ კითხვაზე ბარმენი აღშფოთდა და ტაილერისკენ გაიწია. ატყდა ჩხუბი, რომელიც ტაილერის ცემით დამთავრდა. დასისხლიანებულმა დაზარალებულმა პოლიციას განუცხადა, რომ ასე დაუნდობლად იგი ჩარლზ ბარკლიმ მიბეგვა და სერ ჩარლზისგან საკომპენსაციოდ 12 000 დოლარი მოითხოვა. თვითმხილველების თქმით კი, ბარკლი ამ ინციდენტში არ მონაწილეობდა. სასამართლომაც მომჩივანის განცხადება უსაფუძვლოდ ცნო.

„უკვე მესამედ შეეცადნენ ბინძურ საქმეებში გემს გახვევას, — თქვა ბარკლიმ, — მაგრამ მე ყოველთვის ვამტკიცებ, რომ ასეთ რამეში ხელი არ მერევა“.

ჰიუსტონს ტომიანოვიჩი სჭირდება

„ჰიუსტონ როქითსმა“ 2001 წლამდე გაუგრძელა კონტრაქტი ცნობილ მწვრთნელ რუდი ტომიანოვიჩს. თანხა ცნობილი არ არის. ტომიანოვიჩი 27-ე სეზონს ატარებს NBA-ში. აქედან ექვსი წელი „როქითსის“ მთავარი მწვრთნელია. მან 11 სეზონი გაატარა ამ გუნდში. შემდეგ იყო სქაუთი და მეორე მწვრთნელი, 1992 წლიდან კი გუნდს სათავეში უდგას. მისი ხელმძღვანელობით „ჰიუსტონმა“ ორჯერ მოიპოვა NBA-ს ჩემპიონობა. რეგულარულ ჩემპიონატში ტომიანოვიჩის ხელმძღვანელობით „როქითსმა“ 281 თამაში მოიგო და 159 წააგო, „ფლეი-ოფში“ კი შედეგები ამგვარია — 48-33. „ჰიუსტონ როქითსის“ მფლობელმა და პრეზიდენტმა ლესლი ალექსანდერმა განაცხადა: „ჩვენი გუნდი მუდმივად გამარჯვებისკენ ისწრაფვის. დიდი მიზნები გვაქვს და მის მისაღწევად უსტად ისეთი კაცი გვჭირდება, როგორიც რუდია. ახალ სეზონში პირველობისთვის ვიბრძოლებთ, „ჩიკაგო ბულზი“ ბრწყინვალე გუნდია, მაგრამ შეეცდებით, წინააღმდეგობა გაეწიოთ“.

მსაჯიც ადამიანია

NBA-ში მკაცრი სანქციები გამოუტანა ასოციაციის ოთხ ცნობილ მსაჯს იმის გამო, რომ ისინი საგადასახადო ინსპექციას შემოსავალს უმალავდნენ. მათ შორის ყველაზე ცნობილი ჯეს ქერსია. იგი 1973 წლიდან მსაჯობს და NBA-ს 14 ფინალური მატჩი და 3 „ოლ სტარი“ უმსაჯია. ქერსის NBA-ში 3 წლით მისცა დისკვალიფიკაცია და 20 000 დოლარი ჯარიმაც დააკისრა. ასევე დასაჯეს სხვა მსაჯებიც — ჯორჯ ტოლივერი, ჰენკ არმსტრონგი და მაიკ მეტისი. ამ უკანასკნელმა 89-92 წლებში საგადასახადო ინსპექციას 70 000 დოლარი დაუმალა.

ოძრუაშვილის გიჭეზი წავიდნენ

გუშინ ჩეხეთს გაემგზავრა საქართველოს 1980 წელს დაბადებულთა ნაკრები, რომელიც ქალაქ სოკოლოვში ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. ჯგუფში ჩვენებთან ერთად ჩეხეთის, პოლონეთის, ისრაელის, თურქეთის და ლიტვის ნაკრებები არიან.

საქართველოს ნაკრები ტურნირზე ამ შემადგენლობით წარდგება: გიორგი გაგნიძე, ლევან წიკლაური, გიორგი ნიკოლაძე, ვანო მეჭურჭლიშვილი, გიგა ნაცვლიშვილი, სანდრო მიქაძე, თორნიკე ნინიაშვილი, ირაკლი ნიუარაძე, ლაშა ლოსაბერიძე, ვლადიმერ ბოისა, დავით მუშკუდიანი.

გუნდის უფროსი მწვრთნელია თამაზ ოქროპირიძე.

დღეს, პირველ ტურში, ჩვენები მასპინძლებს ხვდებიან.

ქოტე მგალობლიშვილი

სარბიელი

სპორტული ლატარია “CROCO”

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. II ტური

5 აგვისტო

დუისბურგი — შალკე	1,9	2,9	3,0
არმინია — შტუტგარტი	2,5	2,8	2,2
ლევერკუზენი — ბოხუმი	1,5	3,0	5,0
მიუნხენ 1860 — კარლსრუე	1,7	3,0	3,6
ვერდერი — ჰანზა	1,25	3,8	7,0
0:1	2,0	3,2	2,0

6 აგვისტო

ვოლფსბურგი — ჰამბურგი	2,0	2,9	2,8
კაიზერსლაუტერნი — ჰერტა	1,4	3,1	5,6
მიონხენგლადბახი — ბაიერნი	2,8	2,9	2,0
დორტმუნდი — კიოლნი	1,3	3,4	6,5
0:1	2,0	3,2	2,0

ავსტრიის ჩემპიონატი. VII ტური

6 აგვისტო

ადმირა — აუსტრია	3,3	2,9	1,8
გრაცერი — ლინცერი	1,4	3,1	5,6
ტიროლი — ზალცბურგი	2,0	2,8	2,9
რაპიდი — ლუშტენაუ	1,2	4,0	8,0
0:1	1,8	3,2	2,4
რიდი — შტურმი	2,9	2,8	2,0

რუსეთის ჩემპიონატი. გადადებული მატჩები

6 აგვისტო

როსტსელმაში — ნოვგოროდი	1,25	3,8	7,0
კრილია სოვეტოვი — დინამო	2,8	2,9	2,0
სპარტაკი — ტორპედო	1,6	3,0	4,2

ამხანაგური მატჩი

6 აგვისტო

შვედეთი — ლიტვა	1,1	5,0	10,0

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა, თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე; ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „იმერეთის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

კანდელაკი სპარინგს ეძებს

ერთწლიანი ყოყმანის შემდეგ გიორგი კანდელაკი, როგორც იქნა, დაუბრუნდა კრივს, მაგრამ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებს მაინც ვერ შეელია და მაკედონიაში სხვათა უთავბოლობით გაწბილებული ბიჭები ახლა ფოთში წაიყვანა შეკრებაზე, რომლის დასრულებისას შინაურ ტურნირში აასპარეზებს მათ. სამომავლოდ დიდი კრივი გიორგის აღარ მისცემს საშუალებას, ჭაბუკთა ნაკრებს კვლავაც უთავბოლოს, ამიტომაც ეშურება, მოცალეობისას თავისი ცოდნა გაუზიაროს ბიჭებს.

გიორგი თან ვარჯიშობს — ფოთის შეკრება, ჭაბუკთა დოსტატებს რომ ისახავს მიზნად მასაც წვადებს. თუმცა ვეურჯერობით კანდელაკს ხერხიანი სპარინგ-პარტნიორი ვერ მოიძია ჩვენში, უამისოდ კი ვერ შეძლებს ჩვეული ფორმის დაბრუნებას და დიდი შეკიბრებებისთვის მომზადებას. კანდელაკის ხელახალი დებიუტი ფინეთში, ტამპერეს საერთაშორისო ტურნირზე შედგება. თუ აქ გიორგიმ მკირე წარმატებას მაინც მიაღწია, მისთვის ღირსეული სპარინგ-პარტნიორის მონახვა უკვე აუცილებელი შეიქნება, არ არის გამორიცხული, ამგვარი მოკრივე კანდელაკს უცხოეთში მოუძებნონ და ვარიანში მიიწვიონ. ეს მეტად საშური საქმე, რადგან შემოდგომაა და ზამთარში გიორგის წლის მთავარი შეჯიბრებები — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ელის.

ვეურჯერობით კანდელაკი ვერ არის ისეთ ფორმაში, ევროპის ჩემპიონატის მოგებისას და ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვებისას რომ იყო. ათიოდე კილოგრამიც უნდა დაკლოს, რათა მისთვის უჩვეული და ახალ — მძიმე წონაში ლაღად იგრძნოს თავი, მაგრამ ვინც კანდელაკს კარგად იცნობს, ეჭვი არ ეპარება, რომ ეს შეუპოვარი და ნიჭიერი ახალგაზრდა კვლავაც იტყვის თავის სათქმელს და დაკარგულ წელიწადსაც გამარჯვებებით ანაზღაურებს.

ლევან ჯავახიშვილი

ტურისტული ფირმა

„ჯითჯიან ტურისტ სერვისი“

გთავაზობთ დასვენებას

ანტალიაში, საბერძნეთში

ჭიული შარტავას 7, შრომის სასახლის შენობა, მე-2 სართული

☎ 38 54 12



1896 წლის ოლიმპიადის ასპარეზი — პანათინაიკონის მარმარილოს სტადიონი გახსნისთვის ბერძნებმა საგანგებოდ ჩაბნელეს და გააჩახჩახეს

ამ ათ წამშია...

ლას ჩამორჩა, მაგრამ გზად სისწრაფეს უმატა და მხოლოდ ჯონსთან წააგო. ფინალში გაიდნენ ჯონსი (10,94), ოტი (11,08), ბაჰამელი სევათედა ფაინესი (11,11) და მილერი (11,17).

ვაჟებში ფინალისკენ გაიქროლეს ბოლდონმა (10,00), ნიგერიელმა დეიდსონ გბინვამ (10,15), ამერიკელმა მაიკ მარშმა (10,21) და კანადელმა ბრუნო ხურინმა (10,22) —პირველ გარბენში, ხოლო ამერიკელმა მორის გრინიმ (9,90), ბელიმ (9,91), ნამიბიელმა ფრენკ ფრედერიკსმა (9,93) და ამერიკელმა ტიმ მონტგომერიმ (10,08) მეორე გარბენში შეაკვეს ფინალისტთა სტარტ-ლისტი. ისე რა მაგის პასუხია და, თექვსმეტ ნახევარფინალისტს შორის თოთხმეტი ზანგი იყო.

ეგ არაფერი, კიდევ კარგი, პერუელი არავინ ყოფილა. თუმცა, რა დროს პერუა, 400 მეტრზე მეორე რაუნდში, დიდმა მაიკლ ჯონსონმა გარბენის სამეულ"ში კი ვერ შეაღწია და სხვებთან შედარებით უკეთესი დროის წყალობით გავიდა ნახევარფინალ"ში.

ანესის — 11,03. ორი რეკორდია: პინტუსევიჩის ეროვნული, ფაინესის — პირადი.

ვაჟები, ვაჟები კი არა კაცები, გმირები. მძლეოსნების ჩემპიონატის ეს გვერგვინი ათი წამიც არ გრძელდება. და განა ათიოდ წამს რაიმე შეედრება? ამ ათ წამშია ყველაფერი.

პირველია მორის გრინი — 9,86, მეორე დონოვან ბეილი — 9,91, მესამე ტიმ მონტგომერი — 9,94.

ამ გარბენისას ალბათ პერუელი ქალებიც ჩუმად ისხდნენ.

მოწინაევნი

2 აგვისტო

ვაჟები. ბირთვის კვრა: 1. ოლექსანდრ ბაგაჩი (უკრაინა) 21,47 მ; 2. ჯონ გოდინა (აშშ) 21,44; 3. ოლივერ-სვენ ბუდერი (გერმანია) 21,24; 4. სი"ჯეი ჰანთერი (აშშ) 20,33; 5. იური ბელონოჰი (უკრაინა) 20,26; 6. მიკა პალვარი (ფინეთი) 20,13; 7. რომან ვირასტიუკი (უკრაინა) 20,12; 8. კევინ ტოთი (აშშ) 20,02; 9. მიხაელ მერტენსი (გერმანია) 19,91; 10. პაოლო დალსოლიო (იტალია) 19,77; 11. ბურგერ ლამბრეხტი (სამხრეთი აფრიკა) 19,39; 12. საულიუს კლეიტა (ლიტვა) 18,25

20 კილომეტრზე სიარული: 1. დანიელ გარსია (მექსიკა) 1 საათი: 21 წუთი. 43 წამი; 2. მიხაილ შენნიკოვი (რუსეთი) 1:21.53; 3. მიხაილ ხმელნიცკი (ბელარუსი) 1:22.01; 4. იუ გუოჟუი (ჩინეთი) 1:22.57; 5. ლი ზჰენჟინი (ჩინეთი) 1:23.03; 6. ევგენი მისიუღია (ბელარუსი) 1:23.10; 7. მიკელე დიდონი (იტალია) 1:23.14; 8. ჯოვანი დიბენედიტისი (იტალია) 1:23.33; 9. პაოლო ღულა (ტუნისი) 1:23.49; 10. დანიელ პლასა (ესპანეთი) 1:23.53;

3 აგვისტო

ქალები. 100 მეტრზე სირბილი: 1. მარიონ ჯონსონი (აშშ) 10,83 წმ; 2. ჟანა პინტუსევიჩი (უკრაინა) 10,85; 3. სევათედა ფაინესი (ბაჰამაზი) 11,03; 4. კრისტინ არონი (საფრანგეთი) 11,05; 5. ინგა მილერი (აშშ) 11,18; 6. მელანი პაშკე (გერმანია) 11,19; 7. მერლინ ოთი (იამაიკა) 11,29; 8. ქრისთი გეინზი (აშშ) 11,32

ვაჟები. 100 მეტრზე სირბილი: 1. მორის გრინი (აშშ) 9,86 წმ; 2. დონოვან ბეილი (კანადა) 9,91; 3. თიმ მონთგომერი (აშშ) 9,94; 4. ფრანკი ფრედრიქსი (ნამიბია) 9,95; 5. ატო ბოლდონი (ტრინიდად-ტობაგო) 10,02; 6. დევიდსონ ეზინვა (ნიგერია) 10,10; 7. ბრუნი სურინი (კანადა) 10,12; 8. მაიკ მარში (აშშ) 10,29

შორს ტყორცნა: 1. ჰაინც ვაისი (გერმანია) 81,78 მ; 2. ონდრეი სკვარუკი (უკრაინა) 81,46; 3. ვასილი სიდორენკო (რუსეთი) 80,76; 4. ბალაზ კიში (უნგრეთი) 79,96; 5. იგორ ასტაპკოვიჩი (ბელარუსი) 79,70; 6. ილია კონოვალოვი (რუსეთი) 78,68; 7. ვადიმ ხერსონცევი (რუსეთი) 77,42; 8. ოლექსი კრიკუნი (უკრაინა) 77,14; 9. კარსტენ კობსი (გერმანია) 76,12; 10. კოჰი მუროფუში (იაპონია) 74,82; 11. რაფაელ პიოლანტი (საფრანგეთი) 74,08; 12. ივან ტიხონი (ბელარუსი) უშედეგოდ



34 წლის ბებერი გერმანელი ჰაინც ვაისი 1989 წელს ყოფილა მსოფლიო თასის მფლობელი, მსოფლიო ჩემპიონატებზე კი საუკეთესო შედეგისთვის 1991 წელს, ტოკიოში მიუღწევია, როცა მესამე ადგილზე გასულა. წელს მტყორცნელი ომვაით ფორმაში იყო და ჯერ პირადი რეკორდი გაეუმჯობესა, ახლა კი პირველობასაც გამოკრა ხელი. საგულისხმოა, რომ ვაისი კარლ მარქსის შობლიურ ქალაქ ტრირშია დაბადებული



მექსიკელი დანიელ გარსია 26 წლისაა. 1993 წელს მსოფლიო თასი კი მოიგო, მაგრამ გეტებორგის მსოფლიო პირველობაზე ზედ ფინიშთან მოხსნეს. გარსიას იგივე შეემთხვა ორი წლის წინ, გეტებორგის ჩემპიონატზეც აი, ატლანტის ოლიმპიადაზე კი 20 კილომეტრზე XIX ადგილი დაიჭირა, ხოლო 50-ზე — IX

განთქმულთა მომსრვალი

დიუმორიეს კანადის ვაჟთა ღია პირველობა

მონრეალი. ხისტი საფარი. საპრიზო ფონდი 2 050 000 დოლარი — გამარჯვებულის წილი 337 ათასი

მეოთხედფინალი (1.08): მაიქლ ჩანგი (აშშ, 1) — რიხარდ კრაიჩეკი (ჩოლანდია, 8) 7:6 (7-5), 6:4; ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი, 4) — თომას ენკვისტი (შვედეთი, 5) 7:5, 6:7 (7-9), 6:1; გუსტავო კერტენი (ბრაზილია, 6) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (8-6); ქრის ვუდრაფი (აშშ) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია, 7) 6:4, 6:4

ნახევარფინალი (2.08): კერტენი — ჩანგი 6:3, 6:1; ვუდრაფი — კაფელნიკოვი 5:7, 7:5, 6:3

ფინალი (3.08): ვუდრაფი — კერტენი 7:5, 4:6, 6:3

ვუდრაფმა პირველად რომ მოიგო პროფესიული ტურნირი და მერე როგორი — ზე-9-ისა, კინაღამ ატირდა

REUTERS მონრეალიდან

ბოლო ხუთ წელში მეორედ მოხდა, რომ კანადის პირველობა, რომელსაც წელიწადგამოშვებით მასპინძლობენ ტორონტო და მონრეალი, მოიგო განუთესელმა მოთამაშემ. 24 წლის ვუდრაფის წინამორბედი 1993 წელს შვედი მიქაელ პერნფორსი იყო.

ვუდრაფი წინა ორშაბათს მსოფლიოს 57-ე ჩოგანი იყო, გუშინდღიდან კი კლასიფიკაციის 30-ე საფეხურის მიდამოში მოხვდება. ნოქსვილელი (ტენესის შტატი) ვუდრაფი 1993 წელს აშშ-ის კოლეჯთა ჩემპიონი იყო, მაგრამ მერე ბევრს ეკრაფერს მიაღწია პროფტურის ფინალშიც გუშინწინ ოღონ მესამედ ითამაშა, მაგრამ მერსედესის ზე-9-ის ჩემპიონი კი გახდა.

ვუდრაფმა მონრეალში ხუთი განთესილი შეიწირა: ზედიზედ ძლია ჰოლანდიელი ან სმეირინკი (16), ხორვატი გორან ივანიშევიჩი (2), „სკიდი" (7), „კლაშნიკოვი" (4), ბოლოს კი „ვუდაც". საფრანგეთის წლევანდელი პირველობის აღმოჩენა ბრაზილიელს თანამემამულე ქომაგები ერთობ ხმამაღლა გულშემტკივრობდნენ, მაგრამ თურ-ლურჯ სამოსში გამოწყობილმა ამერიკელმა პირველ მოწოდებაზე ქულათა 61 პროცენტი მოიგო და კერტენს როლან-გაროსის შემდგომი პირველი ტიტული არ დააკლა.

ქრისმა მატჩი მე-18 ეისით დაასრულა. არადა, პირველ წრეში სიმერინკთან თავად დაუშვა მატჩ-პოინტს. რაც შეეხება კერტენს, მან ნახევარფინალში აწყარა ფავორიტი ჩანგი ისე გააურთახა, რომ ფინალში ბრაზილიელის გამარჯვება თითქო სათუო არ უნდა ყოფილიყო.

მარტინას ძლეველი არვინა ჩანს



ჰინგისმა წელს უკვე 2 378 036 USS მოიხვეჭა

REUTERS ხან დიუმორიედან

ტოშიბას ქალთა კლასიკური

კარლსბადი, სან-დიეგო (კალიფორნია). ხისტი. 450 000 — 79 000

მეოთხედფინალი: (31.07) მონიკა სელეში (აშშ, 2) — ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) 6:1, 6:3; ამანდა კუტცერი (სამხრეთი აფრიკა, 3) — იაიუკ ბაზუკი (ინდონეზია) 6:3, 6:4; (1.08) მარტინა პინგისი (შვეიცარია, 1) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 7) 6:4, 6:4; მარია პიერსი (საფრანგეთი, 6) — სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) 6:3, 6:2

ნახევარფინალი (2.08): სელეში — კუტცერი 6:3, 6:4; პინგისი — პიერსი 6:0, 6:2

ფინალი (3.08): პინგისი — სელეში 7:6 (7-4), 6:4

ქალთა ჩოგბურთის ლამისაა აზრი დაეკარგოს. 16 წლის ჰინგისი წელს მეათედ ჩაება შეკვირში და მეათედვე უწია ფინალს, სადაც მეცხრედ (!) გაიმარჯვა. და კიდევ წელს გამართული 55 თამაშიდან 54 მოიგო.

მარტინამ წელს ეს უკვე მეოთხედ ძლია სელეშს, აქედან მესამედ — ფინალში. მატჩი დაძაბული გამოვიდა. მონიკას პირველი ხელის მოგება შეეძლო, როცა 5:4-ზე აწვდიდა, მაგრამ ერთი ქულაც ვერ აიღო. მერე საქმე თან-პრეიქამდე მივიდა, ფინალის მეორე ხელში კი მარტინამ IX გეიმში გახერხა ბრეიკი, რაც სელეშს ფორჰენდი ბადეში გახვედა.

მონიკას წლევანდელი ბალანსი 25 მოგება და 9 მარცხია. იგი ოთხჯერ გავიდა ფინალში, მაგრამ ტურნირი ჯერაც ვერ მოუგია. არადა, სან-დიეგოში ვითმც არა უშავდა: ნახევარფინალში კარგად მოუეი ჯუტ კუტცერს.

ჰინგისი მორიგ ტიტულისკენ ერიალ-გერიალ მიწევდა. ავსტრალიის პირველობის ფინალს რეკორდი მან 49 წუთში მოუყო პირსს. ერთი კი, მეოთხედფინალში მარტინესი 102 წუთს გაუძლიანდა და მერე მატჩ-პოინტზე და დანებდა. არადა, კონჩიტას მარტინამ ერთ კვირით ადრე პალმ-სპრინგსის ტურნირის ფინალი 53 წუთში მოუგმარა.

ირაკლი ნინუა

გრონინგის ვაჟთა ღია პირველობა

ამსტერდამი. თიხა. 475 ათასი — 66 400

მეოთხედფინალი: (31.07) მარსელო ფილიპინი (ურუგვაი) — ხავიერ სანჩესი (ესპანეთი, 6) 7:6 (7-5), 6:1; სლავა დოშედელი (ჩეხეთი) — იონ ფანლოტუში (ჰოლანდია) 6:4, 4:6, 6:2; (1.08) მაგნუს ნორმანი (შვედეთი, 4) — კრისტიან რუუდი (ნორვეგია) 6:3, 7:6 (8-6); კარლოს მოია (ესპანეთი, 1) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი, 8) 6:3, 6:4

ნახევარფინალი (2.08): დოშედელი — ფილიპინი 7:6 (7-5), 6:2; მოია — ნორმანი 6:4, 6:3

ფინალი (3.08): დოშედელი — მოია 7:6 (7-4), 7:6 (7-5), 6:7 (4-7), 6:2

მოიაჯ ავსტრალიის პირველობის ფინალში სამპრასთან წაგების შემდეგ ფინალში პირველად თამაშობდა, 26 წლის 39-ე ჩოგანმა კი ტურნირებში მესამედ გაიმარჯვა

შტირიის ქალთა ღია პირველობა

მარია-ლანკოვიცი (ავსტრია). თიხა. 107 500 დოლარი — 17 700

ნახევარფინალი (2.08): ბარბარა შეტი (ავსტრია, 5) — მარია სანჩეს-ლორენსო (ესპანეთი) 6:4, 6:1; ჰენრიეტა ნადიოვა (სლოვაკეთი, 6) — მაიკე ბაბელი (გერმანია) 6:1, 7:6 (7-5)

ფინალი (3.08): შეტი — ნადიოვა 3:6, 6:2, 6:3. 21 წლის 39-ე ჩოგანმა პროფტურზე მეორედ გაიმარჯვა

იდაყვმტკივანი ბარბარა პაულუსი (ავსტრია, 1), რომელიც მსოფლიოს მე-14 ჩოგანია და შარშანდელი გამარჯვებულიც ყოფილა, ამასთან ერთი კვირის წინ ვარშავის თასის ფინალში ნადიოვას ძლევით კარიერის მეექვსე ტიტული მოიხვეჭა, მეოთხედფინალში კი ვერ ეთამაშა სანჩეს-ლორენსოს

ამ კვირაში

გრეით-ეშერიქენ-ინშუარენსის ვაჟთა პირველობა. ცინცინატი (ოჰაიო, აშშ); ხისტი; 2 050 000 USS

აკურას ქალთა კლასიკური. ლოს-ანჯელესი (აშშ); ხისტი; 450 ათასი USS

კლასიკური. ლოს-ანჯელესი (აშშ); ხისტი; 450 ათასი USS

სან-მარინოს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. თიხა. 275 ათასი USS

დასაწყისი პირველ გვერდზე

ქალებში, მეორე რაუნდში, უკრაინელმა ჟანა პინტუსევიჩმა იყოჩაღა — 10,90 წამით თაიისი ქვეყნის რეკორდი დაამყარა. თავ-თავიანთ გარბენში მის გარდა პირველები იქნენ მერლინ ოტი (11,00), ამერიკელი მერიონ ჯონსი (10,96) და ფრანკი კრისტინ არონი (11,04).

მე კი „პანათინაიკონის" სტადიონი თავიდან ის მეგონა, „პანათინაიკოსი" რომ თამაშობს. ვიფიქრე, გახსნასაც „ოლიმპიურ" სტადიონზე რად არ ატარებენ მეთქი. თურმე ნუ ატყვით, გახსნის ცერემონიალი ჩვენში „მარმარილოს" სტადიონად ცნობილ, ელინური სტილით ნაგებ, ეიწრო და გრძელ სარბიელზე დაუნიშნავთ. საკუთრივ ცერემონიალს არა უშავდა. თავიდან ყველაფერი ტრადიციული იყო, გუნდების გამოსვლაცა და მედროშეებიც, შემდეგ შოუ ეფექტურად კი დაიწყო, მაგრამ მითიური ეპოქის ცეკვებით მეტისმეტად გაწელეს. ბოლოს კი მონსერატ კაბალეიც გამოვიდა, ოღონდ, თურმე, ამ დროს მთავარია, გვერდით პერუელი ქალები არ გესხდნენ...

ისევ პერუ წამომცდა. მაპატიეთ, ჩემი ბრალი არ არის, უბრალოდ, ათენში ძალიან ცხელა. ეს თანმიმდევრობას მოკლებული წერილიც მომიტევეთ. ვიცი, ლოგიკის თანხმად, ახლა ისევ ას მეტრზე სირბილს უნდა დავუბრუნდე, მაგრამ გული არ მიშვებს. ეჰ, დურუ ხუნჭუას დავასხი თავს ლაფი, თორემ რა ასი მეტრი, რის ასი მეტრი, მექნებოდა ახლა დიდსათაურიანი ცხელ-ცხელი რეპორტაჟი ბირთვის კვრიდან. შვიდი კილოგრამი 23,12 მეტრზე ხომ მსოფლიო რეკორდია. აბა, დურუს კარგად რომ შეეგინებინა ჯოტიასთვის, ეგ მაინცია? არადა, ვიყოთ ქართველები ასე, უკრაინელმა ალექსანდრ ბაგაჩმა კი 21,47 მეტრით მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვა. ბევრს ეცადნენ ამერიკელი ჯონ გოდინა (21,44 მ) და გერმანელი ოლივერ სვენ ბუდერი (21,24 მ, პირადი რეკორდი), მაგრამ ამაოდ. ყველაზე მეტი, რაც შეძლეს, იყო ის, რომ გოდინამ ბაგაჩის ნაკრაედან სამი სანტიმეტრის მახლობლად დააგდო ბირთვი. საინტერესოა, რომ ბაგაჩმაც და გოდინამაც მესამე ცდაზე მიალწიეს თავიანთ მაქსიმუმს. მოგეხსენებათ, ბირთვის ხალხს ექვს-ექვის ცდა აქვთ.

პირველ დღეს გათამაშდა 20 კილომეტრზე სპორტული სიარულის მედლებიც. კარგა ხანს ლიდერობდა რუსი ილია მარკოვი, მაგრამ ათენის ქუჩებში სირბილის ხასიათზე მოვიდა და დისტანციიდან მოხსნეს. საბოლოოდ, ოქრო მექსიკელ დანიელ გარსიას (1:21.43) ერგო, ვერცხლი რუს მიხაილ შჩენნიკოვს (1:21.53), ხოლო ბრინჯაო ბელარუს მიხარლ ხმელნიცკის (1:22.01).

და ისევ ასი მეტრი. ჩემპიონატის მეორე დღეა, ნახევარფინალები. ქალთა პირველ ნახევარფინალში, მეორესთან შედარებით, სუსტი შემადგენლობა შეიკრიბა, აქ კვლავ უკრაინელმა პინტუსევიჩმა იმარჯვა (11,10), მეორე იყო არონი (11,35). სამაგიეროდ, მეორე ეარბენი ეამოდგა თვალსასეერო. აქ თავი მოიყარეს მერლინ ოტიმ, მერიონ ჯონსმა და ინგერ მილერმა. ოტიმ ცუდად დაიწყო, ლაპის ქვეშ ჰაინც ვაისი კი გერმანელი რომ არ ყოფილიყო, უროს მტყორცნელთა ჩემპიონი უკრაინელი ანდრეი სკვარუკი გახდებოდა. გერმანელთა ეს თვისება ჩემს საგანგებო აღფრთოვანებას იწვევს — იგებდა ვაისი, მაგრამ იმარჯვა სკვარუკმა, ბოლო, მეექვსე ცდაზე 81,46 მეტრზე ტყორცნა ურო. ეს სკვარუკის სეზონის საუკეთესო შედეგი გახლდათ. ვაისს უკანასკნელი შანსი რჩებოდა. რას იზამდა ნებისმიერი სხვა? დაითრგუნებოდა. რა ჭნა გერმანელმა? 81,78.

მესამეზე რუსი ვასილი სიდორენკო გაიდა — 80,76 (სეზონის საუკეთესო შედეგი)

ჟუბრუნდები ას მეტრს. ქალთა ფინალი: ჟალშ-სტარტი. ფინესს წამის მეათედით გულმა ვერ მოუთმინა. მერლინ ოტის ეს არ ესმის და ნახევარ დისტანციას გარბის. ტრიბუნების ხმაურიძლა ხედება, რომ რაღაც უცნაური ხდება, თან არავინ მისდევს... ოტი ნელა ბრუნდება სტარტისკენ, ცდილობს, ძალა აღიდგინოს, მაგრამ აშკარაა, ემოციური შუხტი, ფაქტობრივად, დაკარგა. და გარბენი. უკრაინელ პინტუსევიჩს ჰგონია, მოვიგეო. სიხარულით წრეს უვლის მოედანს, მაგრამ არა, ტელეეიზით აშკარად ჩანს, სულ ცოტათი, მაგრამ ჯონსმა აჯობა. მსოფლიოს ჩემპიონი ამერიკელი მერიონ ჯონსია (10,83). პინტუსევიჩის შედეგია 10,85, ფაინესის — 11,03. ორი რეკორდია: პინტუსევიჩის ეროვნული, ფაინესის — პირადი.

საქმედ ქცეული სიტყვა

VII არხი — რაგბის ჟეშმარიტი მეოხი

ზუსტად ერთი კვირის წინ ამ სვეტში თენგიზ არტამონოვის უკომპრომისო მოსაზრებების გამოქვეყნებას მწვავე რეაქცია მოყვა. მოვიკითხეთ და დავდგინეთ, რომ წყენიათ როგორც ტელერადიო კომპანია „VII არხის“ ხელმძღვანელობას, ასევე საქართველოს რაგბის კავშირს.

თენგიზი სპორტის რიგითი მოყვარულია, „სარბიელისთვის“ კი ავტორალისა და მოტოციკლის ახალ ამბებს სისტემატურად მიმოიხილავს. მოუხედავად ამისა, კაცი ამ ბოლო დროს რაგბის მოღვაწეც ჩავარდა და 26 ივლისს მელბურნში გამართული ისტორიული მატჩი VII არხით რომ ვეღარ იხილა, თავისი გულისწყრომა მიუკიბ-მოუკიბავად მოგვახსენა. ჩვენც რა მორალური უფლება გვქონდა, რომ მისი წერილი არ დაგვებეჭდა.

იმ შაბათს რა და როგორ მოხდა, წინა სამშაბათის გაზეთში ეწერა. იქ პესიმისტური ვარაუდიც იყო გამოთქმული, სამეულის სერიალი ისე ჩამთავრდება, საქართველოს რაგბის კავშირი სათანადო მიმართვას ვერ მიუტანს VII არხს, რის გამოც უბრალო ქომაგები რაგბის სამყაროს ბობოლებისგან განსხვავებით კიდევ ბევრჯერ დაიჩაგრებიანი.

აი, ამაში მოკუუვდა პატივცემული თენგიზი. ცოტა ჩვენც რომ შევაწუხეთ, კავშირის გენერალური მდივანი გია კუბლაშვილი მიდგა, მოდგა და ოპერატიულად — პარასკევსვე აახლა VII არხს სათანადო საბუთიც და აგვისტოს ბოლომდე დაგეგმილი ტელე-რეპორტაჟების განრიგიც. ამასთან, ესაუბრა VII არხის პრეზიდენტს, ბატონ გიორგი გაბისკირიას, ვინაც შეჩივლა, რაგბის ჭომაგთა საყვედური არ დაგვიმსახურებია, რადგან როცა კი დიდი საერთაშორისო თამაში ყოფილა, ყოველთვის გვიჩვენებიაო.

ბატონი გიორგი ცამდე მართალია. „სარბიელშიც“ ბევრჯერ დაგვწერია მისი კომპანიის ქება. მაგრამ ისიც ხომ თქმულა, კუპრის ერთი წვეთი წაახდენს თაფლის კასრსო.

ბედად, ბატონი გიორგი ვაუკაცი გამოდგა — წყენა გულში არ ჩაუდია. რაგბის კავშირის გენერალურ მდივანს სათქმელი პირდაპირ მოახსენა. ბატონმა გიამაც მთელი დიპლომატიური არსენალი მოიშველია და რაგბისთვის სასარგებლო საქმე გაჩარხა: VII არხი ამიერიდან რაგბის გამორჩეულ თამაშებს ყოველთვის გადმოცემს.

პრეზიდენტი გაბისკირია სიტყვის კაცი როშაა, შაბათსვე გამოჩნდა. VII არხმა თბილისის სამ უბანში შეკრებილი რაგბისა და ზოგადად სპორტის ქომაგები ერთობ ასიამოვნა „ყოლაბებისა“ და „ქურციკების“ ფრიადი ბერთაობის პირდაპირი რეპორტაჟით. ხალხმა სერიალის წინა ორი თამაშის რჩეულიც იხილა, დასასრულ კი რაგბის „დიდების დარბაზში“ დევიდ ქემფიზიზეც ნახა სიუჟეტი.

ბოლოს ისიც შევნიშნოთ, რომ რაგბისთვის სასიკეთო საქმე ისევ და ისევ მისმა კავშირმა გააკეთა და არა რალის, მოტოციკლის, ნიჩბოსნობის ანაც ნარდის ფედერაციებმა. აკი კავშირის წესდებაში ერთ-ერთ მუხლად ქვეყანაში რაგბის გავრცელება-განვითარებისთვის ზრუნვაც წერია.

ლ. ჯ.

„ყოლაბთა“ ნორჩი გარემარბი ბენ თიუნი მშობლიურ ქალაქში გადაირია — ორი ლელო ძალისძალად გაიტანა

სამეულის სერიალი

III შაბათი

2. 08. ბრისბენი. სანკორპ სთედიუმი. 36 416 მოსაერე

ავსტრალია 32:20 აფრიკა

(26:10). მსაჯი (დრო) ქროლინ ჰოჯი (ზელანდია) (42 + 47 წუთი)

ვოლაბები (ავსტრალია; კ კანბერა; ძვ ქვინზლენდი; ასუ ახალი სამხრეთი უელსი): სთივ ლარქემი პ; ბენ თიუნი ძვ, ჯეისონ ლითლი ძვ, ჯეიმზ პოლბეჰი პ, ჯო როფი პ; დევიდ ნოქსი პ, ჯორჯ გრეგანი პ — რიჩარდ პარი ასუ (ენდრიუ ბლეიდსი ასუ), მაიქლ ფოლი ძვ, ენდრიუ პისი ასუ; ოუენ ფინეგანი პ, ჯონ ილზი (კაპ) ძვ; მეთ ქოქბეინი ძვ (თროი ქოქერი პ), დევიდ ვილსონი ძვ, დანიელ მანუ ასუ (ბრეთ რობინსონი პ). — 4ლ: ლარქემი (8), მანუ (17), თიუნი (27, 42); 3გ (-27) და 2ს (61, 69): ნოქსი

ქურციკები (სამხრეთი აფრიკა; ს საზღვარი, ჩჰ ჩრდ.-ტრანსვაალი, დკ დას.-კვაზი, ნ ნატალი, ნარ ნარინჯი, ბრ გრიკვალენდი): რასელ ბენეთი ს; ანდრე სნაიმანი ჩჰ (ჯეიმზ სმოლი დკ), პერსივალ მონგომერი დკ, დანი ფანსხოლკეიკი ჩჰ (პენრი პონიბალი ნ), პიტერ როსუ დკ; იანი დებეჯერი ნარ, იუსტ ფანდერვესტჰოიზენი ჩჰ — ოზ დიურანი ნარ (ადრიან გარვი ნ), ნაკა დროცკე ნარ, დოვი თერონი ბრ; კრაინაუ ოტო ჩჰ, მარკ ენდრიუზი ნ; რუბენ კრუგერი ჩჰ, ანდრე ფენტერი ნარ, გარი ტაიხმანი (კაპ) ნ. — 3ლ: დიურანი (36), ენდრიუზი (71), დებეჯერი (88); გ (36) და ს (22): დებეჯერი

კანგაჩრული ფიესტა

ავსტრალიის „ყოლაბთა“ მწვრთნელ გრეგ სმითს გულზე მოეშვებოდა — სეზონის ბოლოს ალბათ აღარ გადააყენებენ. მისმა გუნდმა როგორც იქნა რიგიანად ითამაშა და მსოფლიოს ჩემპიონი „ქურციკები“ უსიტყვოდ დაამარცხა.

კრიტიკოსები სმითს შემადგენლობის წამდაუწუმ ცვლასა და უსწორო ტაქტიკის გამოკიდებას უკიჟინებდნენ. რაც უნდა იყოს, წელს გამართულ 6 ტესტში 14 მორკინალი გამოიცადა, უველა მატჩი კი მხოლოდ კაპიტანმა ილზმა ითამაშა. რაც შეეხება შეტევას, „ყოლაბები“ თამაშს მორკინალთა დაშალულ მიძალებაზე აგებდნენ და ბურთს ხშირად კარგავდნენ, 10 ნომრად დაყენებული შუამარბი თიმ ჰორანი კი ცქვიტ და ღონიერ გარემარბებს უბურთოდ ტოვებდა.

აფრიკელთა ძლევისას გამოჩნდა, რომ მედია მართალი ყოფილა: მწვრთნელის მიერ ჯერ უარყოფილმა, შემდეგ კი დიდი ამბით ხმობილმა კეტერანმა 10 ნომერმა ნოქსმა უკანა ხაზი ისე ათამაშა, რომ მასპინძლებმა შესვენებამდე მოასწრეს ოთხი ლელოს გატანა და პრემიალური ქულაც მოიხვეჭეს.

გუნდი მთლად კანბერის „ბრომბიზის“ უაიდაზე ბურთაობდა: მორკინალები კარგ პლაცდარმს უზრუნველყოფდნენ, კანბერელები კი — გრეგანი, ნოქსი, ჰოლბეჰი და ლარქემი მწვრთნელ როდ მაკქინის მიერ დამუშავებული ჩახლართული კომბინაციებით რევდნენ „ქურციკების“ დაცვას, რომელიც იმ დღეს მთლად ჯანზე ვერ იყო და მეტოჭეს დედლად ბოჭავდა.

პირველი ტაიმი მასპინძლებმა გადასარევად წარმართეს. 40-დან ბარემ 30 წუთი ბურთი მათ ჭონდათ. ილზი დერეფანში პარპაშებდა. ამის გამო იყო, რომ ნოქსს საჯარიმოები ხშირად გადაჭონდა კიდეზე. მერე იქ კაპიტანი იყოჩაღებდა და იერიშებიც ტალღურად მიყვებოდა ერთმანეთს.

„ყოლაბთა“ პირველი ლელო მოკლე ფრთაზე, თამაშის მესამე თუ მეოთხე ფაზიდან გავიდა. მეორეს დროს მანუ დერეფნის შერე ისე შეგრილდა კარში, რომ ხელიც ვერავინ ახლო. მესამე ლელო კანბერელებმა გააჩალიჩეს: მორიგი გადაწყობის შემდეგ გრეგანმა და ნოქსმა ჯონს ლომფუს რისხვა — ქვინზლენდელი თიუნი მოკლე ფრთაზე გაჰქცუნეს, ამან კი შიგნით შეტენა და მბოჭავები თან გაიტანა.

მეოთხეს დროსაც ნორჩი გარემარბის იშვიათი ძალა გამოჩნდა. გარდა ამისა, 24-ე წუთზე ნოქსმა ლარქემს ფეხით ისეთი პასი მიცა, რომ ავსტრალიის მცველი ტაიხმანა ლელოსთან ძლივს დაცა, „ქურციკთა“ ლელო კი დონდლო დიურანმა მას შემდეგ გაიტანა, რაც გრეგანმა მსაჯს ენა შეუბრუნა და „ყოლაბთა“ ლელოდან 5 მეტრის მოშორებით დანაშნული ჯარიმა ჰოქმა სტუმრებს გადაულოცა. და კიდევ, დებეერმა მე-40 წუთზე ბურთი ძელს მოარტყა — ამ სერიალში ეს უკვე მეორედ.

მეორე ნახევარში აფრიკელები გაიფთრებით ეკვეთნენ ავსტრალიელებს, ამათ კი ბოლო 15 წუთის გარდა თავი მედგრად დაიცვეს. სტუმართა ზორბა მეორეხაზელმა ოტომ გაფრთხილებაც კი მიიღო.

„ქურციკთა“ უკანა ხაზს აშკარად აკლდა ოსტატობა — შეცცალეზე შესული ბებერი სმოლი თუ გაინავარდებდა. ნოქსმა ორი საჯარიმო გოლით ანგარიში 32:10 გახადა — ამდენი ქულა „ყოლაბებს“ აფრიკისთვის მანამდე არასოდეს გაეტანათ. მერე გაშინარდა ტრავმები, ბოლოს კი „ქურციკებმა“ პრესტიჟის ორი ლელო გაიტანეს: პირველად კრუგერმა და ტაიხმანმა ენდრიუზი გააქცეს, მეორედ სმოლმა — დებეერი. და კიდევ, 84-ე წუთზე „მიკი მაუსმა“ გრეგანმა აფრიკელები ზედ ლელოსთან კიდეზე გადადენა.

ლუკა ჯორჯიაშვილი

	თ	მ	წ	ნ	ქ	ბ	ლ	ქ
ზელანდია	2	2	0	0	1	68:50	7-4	9
ავსტრალია	2	1	1	0	1	50:53	6-6	5
აფრიკა	2	0	2	0	1	52:67	5-8	1

ქულები: მოგება 4, წაგება 0, ფრე 2; არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანაც მეოთხე ლელოს გატანა — თითო დამატებითი ქულა („+“ გრაფა)

ავტოციკლი

როშარიოც იქ იყო

შარშანდელ ბრაზილიის დიდ პრიზს დუენმა ჩემპიონად უწია. წელს ეს ეტაპი ადრეულად გაიმართა და დიდი უზეირო რამ გამოვიდა: ერთი, რომ ტრეკი იმდენადაა დაშორებული ქალაქის ცენტრს, ხალხი იქ ბილეთის ათეზის გაიაფებამაც ვერ მიიზიდა. მეორეც, რბოლის სტარტი დილის 11 საათზე, თაკარა მზეში დანიშნეს. არადა, ორივე კვალიფიკაცია ნახევლეს გაიმართა, რის გამოც მრბოლებს სარბიელის საფარის ტემპერატურაზე მიაზღოებითი წარმოდგენაც არა ქონდათ და საბურავები სწორად ვერ შეარჩიეს.

უფროს, „500“ კლასში დუენმა იოლად მოიგო, თუმც კი მის მანქანას წინა თვალი უცურავდა. მიკი პირველივე წრიდანვე დაწინაურდა. მისი მიყოლა მხოლოდ ოკადამ შეძლო, მაგრამ რაკი გზა ვიწრო იყო, გასწრება თუმც ბევრჯერ დაუპირა, მაინც ვერაფერს გახდა.

სულ თავიდან წინ მცირე ხნით ჩეკა იყო, მაგრამ მეორე წრეზევე აბეს უკანა თვალს წაშოედო და ლამაზად დაეცა, თუმც კი უვნებელი გადარჩა. მასპინძელთა ფავორიტ ბარუშს მარცხი შეემთხვა — ბოლო წრეზე IX მიდიოდა, მერე კი მოტოციკლიდან გადავარდა.

დუენმა წელს ზედიზედ მეშვიდე, სულ კი მეცხრე ეტაპი მოიგო. ჩემპიონი ალბათ შემდეგსავე დიდ პრიზზე გახდება. მას ამ მხრივ ოდნავ ჩამორჩება ლაწირაკი როსი, ვინაც უმცროს — „125“ კლასში ბოლო მოსახვევშიღა გაუსწრო უედას და წელს მერვე დიდი პრიზი მოიპოვა.

საშუალო „250“ კლასში ბრძოლა გაფიცხდა. ბიაჯიმ ლიდერობა დაკარგა. ბოლო წრეზე გიმშაუმა იტალიელმა უკავას გასწრება დაუპირა, მაგრამ გზიდან გადავიდა და მეზუთე ადგილს დაჯერდა. ვალდანი დაეცა და XII ადგილზე გავიდა. რაც შეეხება ჰარადას, მას თუმც ბოლო წრეზე გაუსწრო ჟაკმა, მაგრამ მეორე ადგილი ცხრილში დასაწინაურებლად მაინც ეყო.

თენგიზ არტამონოვი

ფეხბურთელმა რომარიომ „500 კუბური სანტიმეტრი“ კლასის პრიზიორთა დაჯილდოება არ აცმარა და კვარცხლბეკზეც ჩამოუჯდა. ამასობაში დუენი, ოკადა და კადალორა შამპანურებით წუწაობას შეუდგნენ

როიტერი
რიო-დე-ჟანეიროდან

მსოფლიო პირველობის X ეტაპი

ბრაზილიის დიდი პრიზი

1-3. 08. რიო-დე-ჟანეირო

125 კუბ. სმ

1. ვალენტინო როსი (იტალია, აპრილია) 42.32,218; 2. ნობორუ უედა (იაპონია, პონდა) 42.33,597; 3. იუიჩი უი (იაპონია, იამაჰა) 42.40,699; 4. ტოშიმი მანაკო (იაპონია, პონდა) 42.41,233; 5. კაზუტო საკატა (იაპონია, აპრილია) 42.59,320; ... უსწრაფესი წრე: როსი (147,636 კმ-სთ)

საერთაშორისო მონაგარი. პირადი: როსი 220 ქულა; უედა 143; მანაკო 124; საკატა 112; ხორხე მარტინესი (ესპანეთი, აპრილია) 96; ... გუნდური: აპრილია 240; პონდა 192; იამაჰა 107

250 კუბ. სმ

1. ოლივიე უაკი (საფრანგეთი, პონდა) 42.09,114; 2. ტეცუია ჰარადა (იაპონია, აპრილია) 42.09,347; 3. ტოშრუ უკავა (იაპონია, პონდა) 42.15,202; 4. ლორის კაპიროსი (იტალია, აპრილია) 42.24,179; 5. მაქს ბიაჯი (იტალია, პონდა); ... უსწრაფესი წრე: უაკი (155,414 კმ-სთ)

პირადი: ჰარადა 162; ბიაჯი 160; რალფ ვალდმანი (გერმანია, პონდა) 151; უაკი 126; უკავა 107; კაპიროსი 87; ... გუნდური: პონდა 235; აპრილია 195; ჰს პონდა 56; იამაჰა 56; სუძუკი 46

500 კუბ. სმ

1. მაიქლ დუენი (ავსტრალია, პონდა) 45.05,793; 2. ტადაიუკი ოკადა (იაპონია, პონდა) 45.06,499; 3. ლუკა კადალორა (იტალია, იამაჰა) 45.28,328; 4. ნობუაცუ აოკი (იაპონია, პონდა) 45. 29,286; 5. ნორიფუმი აბე (იაპონია, იამაჰა) 45.29,562; 6. იურგენ ფუხსი (გერმანია, ელფ 500) 45.35,228; 7. დორიანო რომბონი (იტალია, აპრილია) 45.47,467; 8. უან-მიშელ ბეილი (საფრანგეთი, მოდენაზ პრე) 45.49,906; ... უსწრაფესი წრე: ოკადა (158,662 კმ-სთ)

სასტარტო განლაგება: დუენი, კადალორა, კარლოს ჩეკა (ესპანეთი, პონდა), ოკადა; რომბონი, ბეილი, ნ. აოკი, დარელ ბითი (ავსტრალია, სუძუკი); ...

პირადი: დუენი 245; ოკადა 129; ნ. აოკი 126; ალექს კრივიე (ესპანეთი, პონდა) 102; კადალორა 85; ჩეკა 83; ტაკუმა აოკი (იაპონია, პონდა) 80; აბე 77; ალექს ბარუში (ბრაზილია, პონდა) 69; რომბონი 62; ... გუნდური: პონდა 250; იამაჰა 117; აპრილია 62; სუძუკი 61; ელფი 40; მოდენაზი 39; როკ-იამაჰა 10

XI ეტაპი — ბრიტანეთის დიდი პრიზი 15-17 აგვისტოს დონინგთონ-პარკზე გაიმართება

გამოფხიზლება საღმა აზრმა

„შემორდგომაზე VII ტატამი ორთი მორიგავე გუნდის პლეი-ოფის გამართვა რომ გადაწყდა, მიზეზთა გამო ფორმულა არასარაგბო — კალათბურთულ-ჰოკეური შეეერჩა: გუნდებს ორ მოგებამდე უნდა ეთამაშათ. ბედად რაგბის კავშირში ახლა საღ აზრს უმარჭვია და შეცდომაც გასწორებულა: ზე-12-ის უაიდაზე ჯერ გაიმართება თითო-მატჩა ნახევარფინალები, მერე კი ფინალიც. გადაწყვეტილია III ადგილისანი გუნდის გამოსავლენი მატჩის მოწყობაც.

პირველი ეტაპის ბოლომდე ერთი მატჩიღა გასამართი — „აია“ ზეგ, 7 აგვისტოს თბილისში ეწვევა „ყორეებს“. აგვისტოს ბოლოს ნაკრები რუმინეთში გამართავს საწვრთნელ შეკრებას, მეორე ეტაპი კი სექტემბერში დაიწყება. ნახევარფინალები და ფინალები ნოემბრისთვისაა დანიშნული.

სექტემბერში გაიმართება ვაკის შვიდკაცაც, რაც შეეხება ექვსეულის მეორე ეტაპის განრიგს, იგი ტრადიციულად გონივრული, ე. ი. არა-რუსულია: ორი მოწინავე ერთმანეთს წრის ბოლო ტურში ეთამაშება და არა მეორეში.

ზაზა ფხაკაძე

საქართველოს პირველობა

„ა“ ჯგუფი

კვირას „ქორები“ ზესტაფონში ეწვევნენ „აიას“, მაგრამ იქაურებმა მორგებები მოედანზე სათამაშოდ არ შეუშვეს. მაშინ „აიამ“ თბილისელებს თერჯოლაში ჩასვლა შეთავაზა, რაზეც ამათ უარი უთხრეს, რადგან ეს დაბა ჭუთაისს 50 კილომეტრზე ნაკლებაა დაშორებული. მოკლედ, თამაში მეორედაც ჩაიშალა. ახლა მოსალოდნელია, რომ რაგბის კავშირი ჭუთათურებს მინუს ერთ ჭულიან წაგებას მიუსჯის.

ა ჯგუფი	თ	მ	ფ	ნ	ბ	ლ	ქ
ყორეები	11	10	1	0	238:109	26- 9	21
აზოტი (რ)	12	10	1	1	251:104	32- 5	20
აია-ვეი (ქ)	10	6	0	4	184:131	23-10	12
ქორეები	11	6	0	5	225:147	25-13	12
ასკ	12	3	0	9	144:324	18-50	6
გუმარი	12	4	0	8	196:212	23-22	8

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ გზირკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქროპჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — სააგიტაციო-სარეკლამო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29

სამეულის სერიალი
II წრე
საქართველოს დროით

ზელანდია — აფრიკა
9.VIII 7.30 LIVE, 18.00, 23.30
13.VIII 13.00

ზელანდია — ავსტრალია
16.VIII 7.30 LIVE, 20.00
18.VIII 13.30

აფრიკა — ავსტრალია
23.VIII 20.00 LIVE
24.VIII 3.30, 12.30
25.VIII 9.00

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90